



მიხეილ ბულგაკოვი - ფარისეველთა კაბალა
 Михаил Булгаков - Кабала Святош

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
 ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
 0186 თბილისი, საქართველო
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის გივი კვიცილაშვილს.

iBooks© 2017 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

მოქმედი პირნი
პირველი მოქმედება
მეორე მოქმედება
მესამე მოქმედება
მეოთხე მოქმედება

(მოლიერი)

Rien ne manque a sa gloire, Il manquait a la notre.

[მის განდიდებას აღარაფერი სჭირდება. იგი სჭირდება ჩვენს განდიდებას.]

მოქმედი პირნი

ჟან-ბატის პოკლენ დე მოლიერი - სახელოვანი დრამატურგი და მსახიობი

მადლენ ბეჟარი, არმანდა ბეჟარ დე მოლიერი, მარიეტა რივალი - მსახიობები

შარლ-ვარლე დე ლაგრანჟი - მსახიობი, მეტსახელად „რეგისტრი“
ზაქარია მუარონი - სახელგანთქმული მსახიობი - არშიყი

ფილიბერ დიუ კრუაზი - მსახიობი

ჟან-ჟაკ ბუტონი - სანთლების მქრობელი და მოლიერის მსახური

ლუი დიდი - საფრანგეთის მეფე

მარკიზი დ'ორსინი - დუელანტი, მეტსახელად „ცალთვალა, ილოცე!“

მარკიზი დე შარონი - ქალაქ პარიზის არქიეპისკოპოსი

მარკიზი დე ლესაკი - ბანქოს მოთამაშე

სამართლიანი მეწალე - მეფის მასხარა

კსავესინიანი თაღლითი

ნიღბიანი უცნობი ქალი

მამა ბართლომე - მოხეტიალე ქადაგი

ძმა ძალა, ძმა ერთგულება - საღვთო წერილის კაბალის წევრები

რენე - მოლიერის დაჩაჩანაკებული გადია

სუფლიორი

მონაზონი

საღვთო წერილის კაბალის ნიღბიანი და შავმოსასხამიანი წევრები, კარისკაცები, მუშკეტერები და სხვანი.

მოქმედება ხდება ლუი XIV დროს პარიზში.

პირველი მოქმედება

ფარდის იქიდან ხალხის ყრუ სიცილი მოისმის. ფარდა აიხდება. სცენა წარმოადგენს „პალე-როიალის“ თეატრს. მოჩანს მძიმე ფარდები, ღერბებიანი და ორნამენტოვანი მწვანე აფიშა. ზედ მსხვილი ასოებით წერია: „მბრძანებლის კომედიანტები“. შემდეგ კი წვრილი ასოებით დაწერილი სიტყვები. მოჩანს სარკე, სავარძლები, კოსტიუმები. ორი საპირფარეშოს გამყოფ ფარდასთან დგას უზარმაზარი კლავესინი. მეორე საპირფარეშოში - დიდი ჯვარცმა, რომლის წინ ლამპარი ანთია.

პირველ საპირფარეშოში მარცხნივ კარია, ანთია უამრავი ქონის სანთელი (როგორც ჩანს, შუქი არ დაუზოგავთ), მეორე საპირფარეშოში მხოლოდ ფერადმინიანი ფარანი დგას.

ყველას და ყველაფერს - საგნებსაც და ადამიანებსაც (ლაგრანჟის გარდა) არაჩვეულებრივი ამბის, შემფოთებისა და მღელვარების ნიშანი ადევს.

ლაგრანჟი სპექტაკლში არ მონაწილეობს, ჩაფიქრებული ზის საპირფარეშოში. შავი მოსასხამი აქვს მოხვეული. ახალგაზრდაა, ლამაზი, თავმომწონე ფარანი სახეზე იდუმალ შუქს ჰგენს.

პირველ საპირფარეშოში ბუტონია, ჩვენკენ ზურგი აქვს მოქცეული, ფარდის ქრილს აჰკვრია. ზურგიდანაც კი ეტყობა, რომ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს. კართან თაღლითი დგას, ყურთან ხელი მიუტანია და უსმენს.

ისმის სიცილი, ბოლოს კი ხარხარი. ბუტონი რაღაც თოკებს მისწვდება და ხმები გაქრება. ერთი წამი. შემდეგ ფარდის ქრილიდან მოლიერი გამოჩნდება და კიბის საფეხურზე ჩამოიბრუნს, საპირფარეშოში ჩამოდის.

თაღლითი მოკრძალებით მიიმალება.

მოლიერს ზომაზე დიდი პარიკი უკეთია და კარიკატურული მუზარადი ახურავს, ხელში მახვილი უჭირავს. სგანარელის გრიმი უკეთია. მეჭეჭიანი, ლურჯი ცხვირი აქვს. სასაცილოა. მარცხენა ხელი მკერდზე მიუდვია. ეტყობა, რომ გული აწუხებს. გრიმი სახიდან სცილდება.

მოლიერი. (მუზარადს მოიძრობს, სულს მოითქვამს) წყალი!

ბუტონი. ახლავე. (ჭიქას აწვდის)

მოლიერი. ფუ. (სვამს, თვალდაცეცებული ისმენს ხმაურს)

(იღება კარი, შემორბის ტაკიმასხარას გრიმიანი, თვალედაჭყეტილი დიუ კრუაზი)

დიუ კრუაზი. მეფე ტაშს უკრავს! (გაქრება)

სუფლიორი. (ფარდის ქრილიდან) მეფე ტაშს უკრავს!

მოლიერი. (ბუტონს) პირსახოცი მომეცი. (შუბლს იმშრალავს, ღელავს)

მადლენი. (გრიმიანი გამოჩნდება ფარდის ქრილში) ჩქარა! მეფე ტაშს უკრავს!

მოლიერი. (ღელავს) ჰო, ჰო, მესმის. ახლავე. (ფარდასთან პირჯვარს იწერს) ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო! ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო! (ბუტონს) ფარდა მთლიანად გახსენი!

(ბუტონი ჯერ იმ ფარდას გახსნის, სცენასა და ჩვენს შუა რომაა, მერე - უზარმაზარ, მთავარ ფარდას, რომელიც სცენას მაყურებელთა დარბაზიდან ჰყოფს. საპირფარეშოთა მალა მოჩანს ცარიელი სცენა. ჭაღები თაფლის სანთლებითაა გაჩირადდებული. დარბაზი არ

მოჩანს. ჩანს მხოლოდ მოოქრული, ცარიელი განაპირა ლოჯა. იგრძნობა მხოლოდ ოდნავ ჩაბნელებული დარბაზის იდუმალი სილურჯე.

კარიდან უმაღლესად გამოჩნდა თაღლითის სახე. მოლიერი სცენაზე ისე ადის, რომ მხოლოდ მის პროფილს ვხედავთ. კატის ნაბიჯით მიდის რამპასთან, თითქოს მიიპარებაო. თავს ხრის, შლაპის ბუმბულებით იატაკს გვის. მის გამოჩენაზე ვიღაც უხილავი კაცი დარბაზიდან ტაშს უკრავს, მას ყველა აჰყვება და მქუხარე ტაშისცემა გაისმის. (მერე სიჩუმე ჩამოვარდება)

მოლიერი. თქვენო... უდიდებულესობავ... თქვენო უდიდებულესობავ... დიდებულო ხელმწიფე. (პირველი სიტყვების წარმოთქმისას ცოტა ენა ებმის - რადგან ცხოვრებაში ოდნავ ენაბარგვნილია - მაგრამ მერე მეტყველება გამოუსწორდება, და პირველივე სიტყვებიდან აშკარა ხდება, რომ იგი სცენაზე უბადლოა. მისი ინტონაციის, გრიმასებისა და მოძრაობის სიმდიდრე ამოუწურავია. მისი ღიმილი კაცს მყისვე ატყვევებს) მბრძანებლის დასის მსახიობებმა, თქვენმა უერთგულესმა და უმორჩილესმა მსახურებმა, მე მომანდეს, მადლობა მოგიძღვნათ იმ არნახული პატივისათვის, თეატრში მოსვლით რომ

დაგვდეთ... მაგრამ, სირ... ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ.

(დარბაზს მსუბუქი სიცილი ჩაურბენს და გაქრება)

ო, ჩემო მუზავ, ჩემო მუზავ, ჩემო ტალია,

ყოველ საღამოს, რა ხანია, შენს ძახილს ვისმენ.

პალე-როიალს რომ ვეწვიე, შენი ბრალია...

და შევიმოსე სგანარელის პარიკით მყისვე.

აქ მოწიწებით თავის დახრა გვმართებს უთუოდ,

რადგან ორმოც სუს გასამრჯელოდ იხდის პარტერი!

ო, ბატონებო, პარიზელთა თავმესაქცევად

(პაუზა)

მე ხშირად ათას აბდაუბდას უაზროდ ვროტავ.

(დარბაზში სიცილი გაისმის)

დღეს, კი ო, მუზავ, გვედრები, წამით შეჩერდი,

შენს მსახურს შენი ნიჭის მადლი გამინაწილე,

თორემ უბრალო, სულელური ინტერმედიით

საფრანგეთის მზეს, მითხარ, აბა, ვით გავაცინებ.

(დარბაზში ტაში დაიქუხებს)

ბუტონი. ჭკუის კოლოფია! მზე საიდან მოიგონა.

თაღლითი. (შურით) ეს ლექსი როდის შეთხზა?

ბუტონი. (ზვიადად) არც როდის. ექსპრომტია.

თაღლითი. განა ეს შესაძლებელია?

ბუტონი. შენ ვერ შეძლებ.

მოლიერი. (სწრაფად იცვლის ინტონაციას)

თქვენ ჩვენს სალხენად მეფობის ტვირთს უბადლოდ ზიდავთ...

სახელის განთქმა მცირე როლით მეც მოვინებე...

და თქვენმა ჟამმა, დიდებულმა, მეც განმადიდა,

დიალო ლუი!..

(ხმას აუწევს) საფრანგეთის (ყვირის) ბრწყინვალე მეფე!..

(შლაპას მალლა შეისვრის)

(დარბაზში წარმოუდგენელი რაღაც ხდება. ისმის ყვირილი:

„გაუმარჯოს მეფეს!“ სანთლების ალი ძირს გაწვება. ბუტონი და

თაღლითი შლაპებს იქნევენ, ყვირიან, მაგრამ სიტყვები არ ისმის.

ყვირილს ჰკვეთს გვარდიელთა საყვირების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა.

ლაგრანჟს შლაპა მოუხდია და ფარანთან გაუნძრევლად დგას.

ოვაცია მთავრდება და სიჩუმე ჩამოვარდება)

ლუის ხმა. (სილურჯიდან) გმადლობთ, ბატონო დე მოლიერო!

მოლიერი. თქვენი მონა-მორჩილი მსახურნი გთხოვენ, კიდევ ერთი

სასაცილო ინტერმედია ნახოთ, თუ თავი არ შეგაწყინეთ.

ლუის ხმა. ოჰ, სიამოვნებით, ბატონო დე მოლიერო!

მოლიერი. (ყვირის) ფარდა!

(მთავარი ფარდა მაყურებელთა დარბაზს ჩამოეფარება. ფარდის იქით მყისვე გაისმის მუსიკა. ბუტონი ხურავს იმ ფარდასაც, რომელიც სცენასა და ჩვენს შორისაა. სცენა გაქრება. თალლითის სახეც გაუჩინარდება)

მოლიერი. (საპირფარეშოში ჩამოდის, ბუტბუტებს) გული მოვუგე!.. მოვკლავ, ყელს გამოვჭრი!

ბუტონი. ნეტავი ვის უპირებს ყელის გამოჭრას ტრიუმფის ჟამს?

მოლიერი. (ბუტონს ყელში სწვდება) შენ გიპირებ!

ბუტონი. (ყვირის) მეფის სპექტაკლზე მახრჩობენ!

(ლაგრანჟი ფარანთან შეირხევა, მაგრამ კვლავ უძრავად გაშეშდება. ყვირილზე მადლენი და რივალი შემორბიან. რივალი თითქმის შიშველია, ეტყობა, ტანსაცმელს იცვლიდა. ორივე მსახიობი მოლიერს შარვალზე ჩაეჭიდება და ცდილობს, ბუტონს ჩამოაცილოს. მოლიერი მათ ფეხებს ურტყამს. ბოლოს, მოლიერს განზე ძლივძლივობით გაათრევენ და სავარძელში ჩასვამენ. მას ხელში ბუტონის ხიფთანის ნაგლეჯი აქვს შერჩენილი)

მადლენი. ხომ არ შეიშალეთ. დარბაზში ხმა გადის.

მოლიერი. გამიშვით!

რივალი. ბატონო მოლიერო! (პირზე ხელს აფარებს)

(განცვიფრებული თალლითი კარიდან შემოიხედავს)

ბუტონი. (სარკვეში იყურება და დახეულ ხიფთანს სინჯავს) მარჯვედ მოუხევი, ჩინებულად. (მოლიერს) რა მოხდა?

მოლიერი. ოჰ, ეს არამზადა... არ ვიცი, ჩემს მტანჯველს აქ რატომ ვაჩერებ! ორმოცჯერ გვაქვს ნათამაშევი, ყველაფერი რიგზე გვქონდა, მეფის თვალწინ კი ჭალში სანთელი დაყირავდა და პარკეტზე იღვენტება.

ბუტონი. მეტრ, როცა ოინზაზობდით, სანთელი მახვილით თავად თქვენ დააყირავეთ.

მოლიერი. ცრუობ, შე უქნარავ!

(ლაგრანჟი თავს ხელებში ჩარგავს და ხმადაბლა ატირდება) რივალი. მართალს ამბობს. სანთელზე დაშნა მოგიხვდათ.

მოლიერი. დარბაზი იცინის. მეფე გაოცებულია.

ბუტონი. მეფე ყველაზე ზრდილი კაცია მთელს საფრანგეთში და დაყირავებულ სანთელს თვალი აარიდა.

მოლიერი. მაშ მე დავაყირავე? მე? ჰმ... აბა რატომღა გიყვიროდი?

ბუტონი. ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემო ბატონო.

მოლიერი. მგონი, ხიფთანიც დაგიხიე, არა?

(ბუტონი გულიანად იცინის)

რივალი. ღმერთო ჩემო. რას ვგავარ! (ხიფთანს ხელს დასტაცებს, აიფარებს და გაიქცევა)

დიუ კრუაზი. (ფარდის ჭრილში ფარნით გამოჩნდება) ქალბატონო ბეჟარ, სცენაზე გასვლის დროა... (გაუჩინარდება)

მადლენი. ახლავე! (გარბის)

მოლიერი. (ბუტონს) ეს ხიფთანი შენი იყოს.

ბუტონი. დიდად გმადლობთ. (ხიფთანსა და შარვალს იხდის, მოლიერის ერთ-ერთ მაქმანიან შარვალს მარჯვედ იცვამს)

მოლიერი. ე... ე... ე... შარვლისაგან რაღა გინდა?

ბუტონი. მეტრ, თავად დამეთანხმებით, საშინელი უგემოვნება იქნებოდა, ასეთ მშვენიერ ხიფთანთან ერთად ასეთი საძაგელი შარვალი რომ მცმოდა, აბა, შეხედეთ ეს რა შარვალია. (ხიფთანსაც იცვამს) მეტრ, ჯიბეში უმნიშვნელო ღირებულების ორი ვერცხლის ფული აღმოვაჩინე. რას მიბრძანებთ, რა ვუყო?

მოლიერი. მაგას მოფიქრება უნდა. არამზადავ, მე მგონი, ჯობია მუზეუმს ჩააბარო. (გრიმს ისწორებს)

ბუტონი. მეც ასე მგონია. ჩავაბარებ. (ფულს ინახავს) წავალ, ნაღვენთს ავფხეკ. (მამას იღებს)

მოლიერი. ძალიან გთხოვ, სცენიდან მეფეს თვალები არ დააჭყიტო. ბუტონი. ვის ეუბნებით, მეტრ? მეც ზრდილი კაცი ვარ, რადგან წარმოშობით ფრანგი გახლავართ.

მოლიერი. წარმოშობით ფრანგი ხარ, მოწოდებით კი - რეგენი.

ბუტონი. თქვენ მოწოდებით დიდი მსახიობი ხართ, ბუნებით კი უხეში. (გადის)

მოლიერი. ალბათ რაღაც ცოდვა ჩავიდინე, რომ ღმერთმა ეს არამზადა ლიმოჟში მომივლინა.

თაღლითი. ბატონო დირექტორო! ბატონო დირექტორო!

მოლიერი. ოჰ, თქვენ აქა ხართ? იცით რა, ბატონო. მომიტევეთ, გულახდილად რომ გეუბნებით, მაგრამ თქვენი ფოკუსი მეორეხარისხოვანია. თუმცა, პარტერის მაყურებელს კი მოეწონება. ერთ კვირას ანტრაქტებში გაგიშვებთ. მაგრამ მითხარით მანინც, როგორ აკეთებთ?

თაღლითი. საიდუმლოა, ვერ გაგიმხელთ, ბატონო დირექტორო.

მოლიერი. მე მივხვდები. აბა, რამდენიმე აკორდი აიღეთ, ოღონდ ხმადაბლა. (თაღლითი უცნაურად იღიმება, კლავესინთან მიდის. ცოტა მოშორებით ჯდება ტაბურეტზე და ჰაერში ხელებს ისე ამომრავებს, თითქოს უკრავსო. კლავესინის კლავიშები დაბლა იწევს, გაისმის ნაზი მუსიკა) დალახვროს ეშმაკმა! (კლავესინთან მიიბრუნს, ცდილობს უხილავ ძაფებს მისწვდეს. თაღლითი უცნაურად იღიმება) კარგი, ბე მიიღეთ. სადღაც ზამზარაა, ხომ?

თაღლითი. კლავესინი ღამით თეატრში დარჩება?

მოლიერი. რა თქმა უნდა. ყოველდღე შინ ხომ არ ათრევთ.

(თაღლითი თავს დაუკრავს და მიდის)

დიუ კრუაზი (შემოიხედავს. ხელში ფარანი და წიგნი უჭირავს) ბატონო დე მოლიერო! (გაუჩინარდება)

მოლიერი. ახლავე (ფარდას მიეფარება, იმავე წამს სიცილი დაიქუხებს; საპირფარეშოს ფარდა გადაიწევს და არმანდა

გამოჩნდება. ლამაზი სახე აქვს, მადლენს წააგავს. ჩვიდმეტი წლისაა. უნდა, რომ ლაგრანჟს გვერდი აუაროს)

ლაგრანჟი. შეჩერდით!

არმანდა. ოჰ, თქვენა ხართ, ძვირფასო რეგისტრო! თავივით რატომ დამალულხართ? მე კი მეფეს ვუყურებდი. მეჩქარება.

ლაგრანჟი. მოასწრებთ. ის სცენაზეა. რეგისტრს რატომ მეძახით? იქნებ მეტსახელი არ მოგწონთ?

არმანდა. ძვირფასო, ბატონო ლაგრანჟო! მთელი დასი დიდ პატივსა გცემთ თქვენც და თქვენს მატთანესაც. მაგრამ თუ გნებავთ, ამ სახელს აღარ დაგიძახებთ.

ლაგრანჟი. მე გიცდიდით.

არმანდა. რატომ?

ლაგრანჟი. დღეს ჩვიდმეტია, ჰოდა, რეგისტრში შავი ჯვარი დავსვი. არმანდა. განა რაიმე მოხდა, ან დასში ვინმე მოგვიკვდა?

ლაგრანჟი. ცუდი, შავი დღე აღვნიშნე. თქვენ მას უარი უნდა უთხრათ.

არმანდა. ბატონო დე ლაგრანჟო, ჩემს საქმეში ჩარევის ნება ვინ მოგცათ?

ლაგრანჟი. გემუდარებით, ცოლად ნუ გაჰყვებით!

არმანდა. რაო? ხომ არ შეგიყვარდით?

(ფარდის იქით ყრუდ გაისმის მუსიკა)

ლაგრანჟი. არა. ოდნავადაც არ მომწონხართ.

არმანდა. გამიშვით, ბატონო.

ლაგრანჟი. ვერ გაგიშვებთ, უფლება არა გაქვთ, მას ცოლად გაჰყვეთ. ასეთი ახალგაზრდა ხართ! გონს მოდით!

არმანდა. ღმერთმანი, ჩვენს დასში ყველა შეიშალა. ნეტავი, რა თქვენი საქმეა?

ლაგრანჟი. თქმა არ შემძლია, მაგრამ დიდ ცოდვას სჩადიხართ.

არმანდა. ოჰ, ჩემს დაზე რომ ჭორაობენ, ვიცი, მაგრამ სისულელეა! თუნდაც რომანი მართლა ჰქონდათ, რა მესაქმება! (ცდილობს ჩამოიშოროს და გაიაროს)

ლაგრანჟი. შეჩერდით. თქვენ მას ცოლად არ უნდა გაჰყვით. გაჰყვებით? მამ მოგკლავთ! (დაშინას იშიშვლებს)

არმანდა. ხომ არ შეიშალებთ?

ლაგრანჟი. თავს რატომ იუბედურებთ? ხომ არ გიყვართ. თქვენ ბავშვი ხართ, ის კი...

არმანდა. არა, მიყვარს.

ლაგრანჟი. ნუ გაჰყვებით.

არმანდა. რეგისტრო, არ შემოდია, მე მისგან უკვე... (ლაგრანჟს ყურში უჩურჩულებს)

ლაგრანჟი. (დაშინას ბუდეში დებს) წადით, აღარ შეგაჩერებთ.

არმანდა. (გვერდით ჩაუვლის) მოძალადევ, შეგამოულებთ, რადგან მემუქრებოდით.

ლაგრანჟი. (აღელვებულია) მომიტევეთ, მე თქვენი შველა მსურდა.

მომიტევეთ. (მოსასხამში გაეხვევა, ფარანს აიღებს და მიდის)

არმანდა. (მოლიერის საპირფარეშოში) საშინელებაა, საშინელება!..

მოლიერი. (გამოჩნდება) რა?..

არმანდა. მეტრ, მთელი ქვეყნიერება მე ამიძხედრდა!

მოლიერი. (ხელს მოხვევს, იმავე წამს ბუტონი გამოჩნდება) ეშმაკმა წაგიღოს! (ბუტონს) იცი, რა, წადი, პარტერში სანთლებს ჩამოუარე.

ბუტონი. ახლახან ჩამოვუარე.

მოლიერი. მაშინ ბუფეტიდან გრაფინით ღვინო მომიტანე.

ბუტონი. უკვე მოგიტანეთ. აგერ დგას.

მოლიერი. (ხმადაბლა) მაშინ ჯანდაბას წადი, ოღონდ მომწყდი თავიდან.

ბუტონი. თავიდანვე ასე გეთქვათ. (მიდის) ხე-ხე... (კართან შემობრუნდება) მეტრ, მითხარით,

თუ შეიძლება, რამდენი წლისა ხართ?

მოლიერი. რას ზოდავ?

ბუტონი. ცხენოსანმა გვარდიელებმა მკითხეს.

მოლიერი. გასწი აქედან! (ბუტონი მიდის; მოლიერი კარს გასაღებით გადაკეტავს) მაკოცე.

არმანდა. (კისერზე ჩამოეკიდება) აი, ცხვირიც ამას ჰქვია, კაცი ახლოს ვერ მოგეკარება.

(მოლიერი ცხვირსა და პარიკს მოიხსნის, არმანდას კოცნის) იცი რა, მე... (ყურში რაღაცას უჩურჩულებს)

მოლიერი. ჩემო გოგონა... (ჩაფიქრდება) ახლა ეს ნულარ შეგამინებს.

მე გადავწყვიტე. (ჯვარცმასთან მიიყვანს) დაიფიცე, რომ გიყვარვარ. არმანდა. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ.

მოლიერი. არ მიღალატებ? ხომ ხედავ, სახეზე ნაოჭები მიჭაღარავდება. გარს მტრები მახვევიან და სირცხვილი მომკლავს...

არმანდა. არა, არა! ეგ რამ გაფიქრებინათ!

მოლიერი. მე მინდა, ერთი საუკუნე კიდევ ვიცოცხლო! შენთან ერთად! მაგრამ ნუ ინალვლებ, ვალში არ დაგრჩები. განგადიდებ, უპირველეს, უდიდეს მსახიობად გაქცევ! ეს ჩემი ოცნებაა და ასედაც იქნება.

მაგრამ გახსოვდეს: თუ ფიცს გატეხ, ამქვეყნად ყველაფერს დამაკარგვინებ.

არმანდა. მე შენს სახეზე ნაოჭებს ვერ ვამჩნევ. შენ ისეთი მამაცი და დიადი ხარ, რომ ნაოჭები არ შეიძლება გქონდეს. შენ ხარ ჟანი...

მოლიერი. მე ვარ ბატისტი...

არმანდა. შენ ხარ მოლიერი! (კოცნის) მოლიერი. (იცინის, მერე საზეიმოდ ამბობს) ხვალ ჯვარს დავიწერთ. თუმცა ამის გამო ბევრი დავიდარაბა უნდა გადავიტანო...

(შორიდან ტაშისცემა მოისმის. კარზე აკაკუნებენ) ეჰ, ეს რა ცხოვრებაა! (აკაკუნის განმეორდება) შინ, მადლენთან, ერთმანეთს ვერ შევხვდებით. ამიტომ ასე მოვიქცეთ:

როცა თეატრი ჩაბნელდება, ბაღში შემოდი და გვერდითა კარებთან

მომიცადე. მე გამოვალ და აქ შემოგიყვან. მთვარე ჯერ არსად ჩანს.
 (კაკუნის ბრაზუნად გადაიქცევა)
 ბუტონი. (კარს იქიდან ყვირის) მეტრ... მეტრ...
 (მოლიერი კარს აღებს. შემოდინ ბუტონი, ლაგრანჟი და ცალთვალა.
 ამ უკანასკნელს შავ მუშკეტერთა კომპანიის კოსტიუმი აცვია და სახე
 შავი ლენტით ირიზად აქვს ახვეული)
 ცალთვალა. თქვენ ხართ ბატონი დე მოლიერი?
 მოლიერი. თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ.
 ცალთვალა. მეფემ მიბრძანა, რომ გადმომეცა თეატრში ყოფნის
 საფასური - ოცდაათი სუ.
 (აწვდის ბალიშზე დაწყობილ მონეტებს; მოლიერი მონეტებს
 კოცნის)
 ცალთვალა. მაგრამ რადგანაც პროგრამის გარეშე გაისარჯეთ
 მეფისათვის, ლექსი მიუძღვენიტ და წაუკითხეთ, მიბრძანა, რომ
 ბილეთის ფასის დამატებით მოგართვათ ხუთი ათასი ლივრი.
 (აწვდის ქისას)
 მოლიერი. ო, მეფევ! (ლაგრანჟს) მე ხუთასი ლივრი დამიტოვე,
 დანარჩენი თანაბრად გაანაწილე
 და მსახიობებს ჩამოურიგე.
 ლაგრანჟი. მსახიობთა სახელით მადლობას მოგახსენებთ. (ქისას
 ართმევს და მიდის)
 (შორიდან მოისმის საზეიმო გვარდიული მარში)
 მოლიერი. მომიტევეთ, ბატონო, მეფე მიდის. (გარბის)
 ცალთვალა. (არმანდას) ქალბატონო, მე ბედნიერი ვარ, რომ
 შემთხვევამ... კხ... კხ... საშუალება მომცა... შავ მუშკეტერთა
 კომპანიის კაპიტანი დ'ორსინი.
 არმანდა. (მუხლს ჩახრის) არმანდა ბეჭარი. თქვენ ხართ ის
 სახელოვანი მოფარიკავე, ვერავინ რომ ვერ უმკლავდება?

ცალთვალა. კხ... კხ... ქალბატონო, თქვენ, რა თქმა უნდა, ამ დასის
 მსახიობი ხართ!
 ბუტონი. დაიწყო. ო, ჩემო ფუქსავატო მეტრო.
 ცალთვალა. (გაკვირვებული უყურებს ბუტონის მაქმანიან შარვალს)
 რამე მითხარით, პატივცემულო?
 ბუტონი. არა, ბატონო.
 ცალთვალა. საკუთარ თავთან ლაპარაკი ხომ არ გჩვევიათ?
 ბუტონი. ნამდვილად, ბატონო. იცით რა, ერთი ხანობა სიზმარშიც
 ვლაპარაკობდი.
 ცალთვალა. რას მეუბნებით.
 ბუტონი. ღმერთმანი. ჰოდა, წარმოგიდგენიათ...
 ცალთვალა. ეს რა ჭირს გადავეკიდე! ილოცე... (არმანდას)
 ქალბატონო, თქვენი სახე...
 ბუტონი. (სიტყვას აწყვეტინებს) ძილში შემლილივით ვკიოდი. რვა
 საუკეთესო ლიმოჟელი ექიმი
 თავს მედგა...
 ცალთვალა. ვიმედოვნებ, რომ განგკურნეს.
 ბუტონი. არა, ბატონო. სამ დღეში სისხლი რვაჯერ გამომიშვეს. ამის
 შემდეგ ლოგინად ჩავვარდი. განძრევის თავი არა მქონდა, ყოველ
 წუთას მაზიარებდნენ.
 ცალთვალა. (ნაღვლიანად) უცნაური ვინმე ყოფილხართ,
 უძვირფასესო. ილოცე. (არმანდას) ქალბატონო, ვიმედოვნებ... ვინ
 არის ეს კაცი?
 არმანდა. ო ბატონო, სანთლების მქრობელი ჟან-ჟაკ ბუტონია.
 ცალთვალა. (საყვედურით) ძვირფასო, სხვა დროს როდისმე,
 სიამოვნებით მოგისმენთ, ძილში შემლილივით როგორ კიოდით.
 (შემოდის მოლიერი) მშვიდობით ბრძანდებოდეთ. წავალ, მეფეს
 დავეწევი.
 მოლიერი. კარგად ბრძანდებოდეთ.

(ცალთვალა გადის)

არმანდა. ნახვამდის, მეტრ.

მოლიერი. (არმანდას აცილებს) მთვარე ჯერ არსად ჩანს, გელოდები. (ბუტონს) ქალბატონ მადლენ ბეჟარს მოუხმე. სანთლები ჩააქრე და შინ წადი.

(ბუტონი გადის. მოლიერი ტანსაცმელს იცვლის. შემოდის მადლენი, უგრძობად)

მოლიერი. მადლენ, უნდა მოგელაპარაკო. (მადლენი გულზე ხელს იტაცებს, დაჯდება) ცოლის შერთვას ვაპირებ.

მადლენი. (ხმაწასული) ვის ირთავ?

მოლიერი. შენს დას.

მადლენი. გემუდარები, მითხარი, რომ ხუმრობ.

მოლიერი. ღმერთმა დამიფაროს!

(თეატრში სანთლები ქრება)

მადლენი. მე რაღას მიპირებ?

მოლიერი. რას ამბობ, მადლენ, ჩვენ ურყევი მეგობრობა გვაკავშირებს, ერთმანეთის ერთგულნი ვართ, მაგრამ სიყვარული ჩვენს შორის ხომ, დიდი ხანია, აღარ არის...

მადლენი. არ გახსოვს, ოცი წლის წინ ციხეში რომ იჯექი, შენთან საჭმელი ვის მოჰქონდა?

მოლიერი. შენ მოგქონდა.

მადლენი. მითხარი, ოცი წელია, ვინ გივლის?

მოლიერი. შენ, შენ.

მადლენი. იმ ძალს, რომელიც მთელი სიცოცხლე სახლს დარაჯობდა, ქუჩაში არავინ გააგდებს. შენ კი, შეგიძლია გააგდო. საზარელი კაცი ხარ, მოლიერო, მე შენი მეშინია.

მოლიერი. ნუ მტანჯავ, ჩემს გულს ვნება დაეუფლა.

მადლენი. (უცებ მუხლს მოიყრის და მოლიერისკენ გახობდება) ოჰ! გემუდარები, მაგას ნუ იზამ, გულიდან სურვილი ამოიგდე. ვითომ

ჩემთვის არაფერი გითქვამს. წავიდეთ შინ, სანთლები ანთე და „ტარტიუფის“ მესამე მოქმედება წამიკითხე. ჰა? (პირფერულად) პიესა, ჩემი აზრით, გენიალურია. რჩევა თუ დაგჭირდა, ვის უნდა ჰკითხო მოლიერო, ის ხომ ჯერ ბავშვია... შენ კი, ჟან-ბატისტ, იცი, რომ დაბერდი? საფეთქლები გაგიეთერდა... შენ ხომ სითბო გიყვარს. მე არაფერს მოგაკლებ... წარმოიდგინე, სანთლები ანთია... ბუხარსაც გავახურებთ და მოვუსხდებით. მაგრამ... თუ არ შეგიძლია, რომ... მე ხომ ვიცი შენი ამბავი. მაშინ რივალს შეხედე... განა ულამაზოა? რა ტანი აქვს!.. ჰა? მე სიტყვასაც არ დავძრავ... მოლიერი. გონს მოდი. იცი, რას ამბობ? რა როლს კისრულობ? (ოფლს სევდიანად იმშრალებს)

მადლენი. (გაშმაგებული წამოხტება) ვინც გინდა შეირთე, ოღონდ არმანდას თავი გაანებე! წყეულიმც იყოს ის დღე, როცა ის პარიზში ჩამოვიყვანე!

მოლიერი. დაწყნარდი, მადლენ, დაწყნარდი, გეხვეწები. (ჩურჩულით) უნდა შევირთო... გვიანდაა. მოვალე ვარ. გესმის?

მადლენი. ეს რა თქვი. ღმერთო ჩემო! (პაუზა) მეტი აღარ შემიძლია. გათავისუფლებ. (პაუზა) მებრალეები, მოლიერო.

მოლიერი. იმედი მაქვს, რომ მაინც მიმეგობრებ.

მადლენი. გემუდარები, არ მომეკარო! (პაუზა) მაშ ასე - მე დასიდან მივდივარ.

მოლიერი. შური გინდა იძიო?

მადლენი. არა, ღმერთია მოწმე. დღეს უკანასკნელ სპექტაკლში ვითამაშე. დავიქანცე... (იღიმება) ეკლესიაში უნდა ვიარო.

მოლიერი. რახან არ იშლი, თეატრი პენსიას მოგცემს. შენ დაიმსახურე.

მადლენი. ჰო.

მოლიერი. როცა დარდი გაგივლის, იმედი მაქვს, რომ გულს მოიბრუნებ და მინახულებ ხოლმე.

მადლენი. არა.

მოლიერი. არმანდას ნახვაც აღარ გინდა?

მადლენი. არმანდას ზოგჯერ ვინახულებ. არმანდამ არაფერი არ უნდა იცოდეს. ხომ გაიგონე? არაფერი არ უნდა იცოდეს...

მოლიერი. კარგი...

(სანთლები ყველგან ქრება)

(მოლიერი ფარანს ანთებს) გვიანაა. წამოვალ, სახლამდე მიგაცილებ.

მადლენი. არა, გმადლობ, არ მინდა, ნება მომეცი, რამდენიმე წუთს აქ დავრჩე.

მოლიერი. შენ ხომ...

მადლენი. მე მალე წავალ, ნუ გეშინია, წადი.

მოლიერი. (მოსასხამში გაეხვევა) მშვიდობით. (მიდის)

(მადლენი ლამპართან ზის და ფიქრობს. რაღაცას ბუტბუტებს. ფარდის იქიდან ფარანი გამოაშუქებს. შემოდის ლაგრანჟი)

ლაგრანჟი. (მედიდურად) ვინ დარჩა თეატრში სპექტაკლის შემდეგ? ვინ არის აქ? თქვენა ხართ, ქალბატონო ბეჟარ? მაინც მოხდა, არა? ვიცი.

მადლენი. მგონი, რეგისტრო.

(პაუზა)

ლაგრანჟი. ძალა არ გეყოთ, რომ გელიარებინათ?

მადლენი. გვიანაა. ახლა თქმა აღარ შეიძლება. დაე, მხოლოდ მე ვიყო უბედური. სამივე ნუ გავიტანჯებით. (პაუზა) თქვენ რაინდი ხართ, ვარლე, და საიდუმლო მხოლოდ თქვენ გაგანდეთ.

ლაგრანჟი. ქალბატონო ბეჟარ, მე ვამაყობ თქვენი ნდობით. მინდოდა, არმანდა შემეკავებინა, მაგრამ ვერ შევძელი. ამ ამბავს ვერასოდეს ვერავინ შეიტყობს. წამოდით, გაგაცილებთ.

მადლენი. არა, გმადლობთ, მინდა, მარტო დავრჩე და ვიფიქრო.

(წამოდგება) ვარლე (იღიმება)

დღეს სცენას ვტოვებ. მშვიდობით. (მიდის)

ლაგრანჟი. გაგაცილებთ.

მადლენი. არა. განაგრძეთ თეატრის შემოვლა. (გადის)

ლაგრანჟი. (მიდის იმ ადგილთან, სადაც თავდაპირველად იჯდა; ფარანს მაგიდაზე დებს; მწვანე შუქი სახეს უნათებს. წიგნს გადაშლის, ლაპარაკობს და წერს) „ჩვიდმეტი თებერვალი. სამეფო სპექტაკლი ჩატარდა. პატივისცემის ნიშნად შრომანს ვხატავ. სპექტაკლის შემდეგ ვნახე, რომ ქალბატონი ბეჟარი გატანჯული იჯდა სიბნელეში. სცენა დატოვა...“ (კალამს დებს) მიზეზი? თეატრში საშინელი ამბავი მოხდა - ჟან-ბატისტ პოკლენ დე მოლიერმა არმანდა ცოლად შეირთო. მან არ იცის, რომ ის ქალბატონი ბეჟარის და კი არა, შვილია... ამის დაწერა არ შეიძლება. შეძრწუნებული შავ ჯვარს ვსვამ... და ვერცერთი შთამომავალი ვერასოდეს მიხვდება. ჩვიდმეტი დასრულდა. (ფარანს იღებს და მიდის. ერთხანს სიბნელე და სიჩუმეა, მერე კლავესინის ჭრილში შუქი გამოჩნდება, გაისმის მუსიკალური ხმები. სახურავი აიხდება. კლავესინიდან მუარონი გამოდის, აქეთ-იქით ქურდულად იხედება. თხუთმეტიოდე წლის ბიჭია. ძალიან ლამაზი, ბიწიერი და განაწამები სახე აქვს. ტანსაცმელშემოქმედილი და ჭუჭყიანია)

მუარონი. წავიდნენ, წავიდნენ. ეშმაკსაც წაუღიხართ, უწმინდურებო, წყეულებო... (წუწუნებს) რა უბედური ვარ, ჭუჭყიანი... ორი ღამეა, არ მიძინია. ძილს არავინ მაცლის... (სლუკუნებს, ფარანს დადგამს, წაიქცევა და ჩაეძინება. პაუზა. შემდეგ ფარანს შუქი აციმციმდება. ფეხაკრეფით შემოდის მოლიერი. თან მოჰყავს არმანდა. არმანდას შავი მოსასხამი მოუხვევია. უცებ შეჰკვივლებს. მუარონი მყისვე იღვიძებს, შემინებული კანკალებს)

მოლიერი. (მკაცრად) თქვი, ვინა ხარ?

მუარონი. ბატონო დირექტორო, ნუ მომკლავთ, ქურდი არ გეგონოთ. ზაქარია ვარ, საბრალო მუარონი.

მოლიერი. (გადაიხარხარებს) მივხვდი! ოჰ, ის თაღლითი!..

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედება

კელაპტრებით გაჩირაღდნებული დარბაზი. თეთრი კიბე სადღაც მიემართება. ბანქოს სათამაშო მაგიდასთან მარკიზი დე ლესაკი ლუის ბანქოს ეთამაშება. მდიდრულად ჩაცმული კარისკაცები დე ლესაკის თამაშს თვალს ადევნებენ. დე ლესაკის წინ ოქროა დახვავებული. ოქროს მონეტები ყრია ხალიჩაზეც. დე ლესაკს სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდის. მხოლოდ ლუი ზის, სხვა ყველა ფეხზე დგას. ყველას შლაპა მოუხდია. ლუის მუშკეტერის თეთრი კოსტიუმი აცვია. მარჯვედ ჩატეხილი, ფრთიანი შლაპა ახურავს. მკერდზე ჯვრის ორდენი უბრწყინავს. ოქროს დეზეები უკეთია და მოოქრული ხმალი ჰკიდია. სავარძლის უკან ცალთვალა დგას და მეფის თამაშს წარმართავს. იქვე გაჭიმული დგას მუშკეტერი და ლუის თვალს არ აცილებს.

დე ლესაკი. სამი ვალეტი, სამი მეფე.

ლუი. საოცარია.

ცალთვალა. (უცაბედად) მომიტევეთ სირ, ბანქოს ქაღალდები დანიშნულია, ილოცე!

(კარისკაცები გაშეშდებიან. პაუზა)

ლუი. ჩემთან სათამაშოდ დანიშნული ბანქოს ქაღალდებით მოხვედით?

დე ლესაკი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ. მამული გამინადგურდა, გავღატაკდი...

ლუი. (ცალთვალას) მითხარით, მარკიზო, ასეთ უცნაურ შემთხვევაში ბანქოს წესებით როგორ უნდა მოვიქცე?

ცალთვალა. სირ, სასანთლე თავში უნდა ჩასცხოთ. ეს ერთი...

ლუი. რა უსიამოვნო წესია! (სასანთლეს ხელს მოჰკიდებს) ეს სასანთლე თხუთმეტი გირვანქა მაინც იქნება. აჯობებდა, ცოტა მსუბუქი დაგედგათ.

ცალთვალა. ნება მომეცით, თქვენს მაგივრად...

ლუი. არა, ნუ შეწუხდებით. რას ამბობდით, სხვა რა უნდა ვქნა?

კარისკაცები. (ერთხმად შესმახებენ) ძალღივით უნდა გამოლანძლოთ.

ლუი. შესანიშნავია. გეთაყვა, მეწაღე სადაა? ახლავე მოაყვანინეთ.

(კარისკაცები აქეთ-იქით გარბიან. გაისმის ხმები: „მეფე სამართლიან მეწაღეს უხმობს!“)

(დე ლესაკს) მითხარით, როგორ ნიშნავთ?

დე ლესაკი. ფრჩხილით, თქვენო უდიდებულესობავ. ქალებს, მაგალითად, ნულეებს ვუსვამ.

ლუი. (ცნობისმოყვარედ) ვალეტებს?

დე ლესაკი. ირიბ ჯვრებს, სირ.

ლუი. ძალიან საინტერესოა. მერე, კანონი ასეთ საქციელზე რას ამბობს?

დე ლესაკი. (ჩაფიქრდება) კარგს არაფერს, თქვენო უდიდებულესობავ.

ლუი. (თანაგრძნობით) მაინც რა მოგელით?

დე ლესაკი. (ჩაფიქრდება) შეიძლება ციხეში ჩამსვან.

სამართლიანი მეწაღე. (შემოდის ხმაურით) მოვრბივარ, მოვფრინავ, მოვდივარ, აქ გახლავართ. გამარჯობა, თქვენო უდიდებულესობავ, რა მოხდა, დიდებულო ხელმწიფევ, ვინ არის გასალანძლი?

ლუი. სამართლიანო მეწაღევ, მარკიზი დანიშნული ბანქოს ქაღალდით მეთამაშებოდა.

სამართლიანი მეწადე. (შეძრწუნებულია, დე ლესაკს) რაო... რა ჰქენ? ხომ არ შეიშაღე? ასეთ რამეზე ბაზარში ცხვირ-პირს ამოგამტვრევდნენ - ხომ კარგად გამოვლანძღე, ხელმწიფე?

ლუი. გმადლობ.

სამართლიანი მეწადე. შეიძლება, ვაშლი ავიღო?

ლუი. აიღე, მარკიზო დე ლესაკო, წაიღეთ თქვენი მონაგები.

(დე ლესაკი ჯიბეებს ფულით იტენის)

სამართლიანი მეწადე. (აღელვებულია) თქვენო უდიდებულესობავ, ეს რას ვხედავ... ხუმრობთ თუ?

ლუი. (სივრცეში) ჰერცოგო, თუ დიდად არ გაირჯებით, მარკიზი დე ლესაკი ერთი თვით ციხეში ჩასვით. სანთელი და ბანქოს ქალაღი მისცენ. იჯდეს და ხატოს ნულიანები და ჯვრები. მერე თავის მამულში გაგზავნეთ. ფული თან გაატანეთ, (დე ლესაკს) მამული მოაწესრიგეთ. ერთ რამესაც გირჩევთ: ბანქოს ნულარ ითამაშებთ, თორემ წინათგრძნობა მაქვს, რომ მეორეჯერ აღარ გაგიმართლებთ. დე ლესაკი. ოჰ, სირ...

ხმა. „მცველებო!“ დე ლესაკი გაჰყავთ.

სამართლიანი მეწადე. მოცოცხე სასახლიდან!

ცალთვალა. ოჰ, ეს არამზადა!

(კამერდინერები დაფაცურდებიან და თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გაჩნდება ერთი კაცისთვის გაწყობილი მაგიდა)

შარონი. (ბუხართან გაჩერდება) თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მოხეტიალე მქადაგებელი, მამა ბართლომე.

ლუი. (ჰამას იწყებს) მიყვარს ყველა ჩემი ქვეშევრდომი, მათ შორის მოხეტიალენიც. წარმომიდგინეთ, არქიეპისკოპოსო.

(უცნაური გალობა კარს იქიდანვე ისმის. კარი იღება და შემოდის მამა ბართლომე. ფეხშიშველაა, ტანსაცმელშემოძენძილი, წელზე თოკი აქვს შემორტყმული, თვალები გიჟურად უელავს)

ბართლომე. (ცეკვავს და მღერის) ქრისტემ წარიღო გონება ჩვენი.

(ლუის გარდა ყველა გაოცებულია)

ძმა ერთგულება. (სახე ჩამოსტირის, გრძელცხვირაა, შავი ხიფთანი აცვია - კარისკაცებს ჩამოსცილდება და შარონს ფეხაკრეფით მიუახლოვდება)

ცალთვალა (ბართლომეს უყურებს, ხმადაბლა) ფუ, რას გავს, ილოცე. ბართლომე. ქვეყნიერების უბრწყინვალესო მეუფე, იმისათვის მოვედი, რათა გაუწყო, რომ შენს სამეფოს ანტიქრისტე მოევლინა. (კარისკაცები გაოგნდებიან) იმ უღმერთოს, გესლიან მატლს, ტახტის საფუძველს რომ გიღრღნის, ჟან-ბატისტ მოლიერი ჰქვია. მოედანზე უნდა დაწვა ის ანტიქრისტე, თავის ღვთისმგმობ ნაწარმოებთან „ტარტიუფთან“ ერთად. ეკლესიის ერთგული შვილნი ამას მოითხოვენ.

(ძმა ერთგულება სიტყვას „მოითხოვენ“ რომ გაიგონებს, თავზე ხელს იტაცებს. შარონსაც სახე დაემანჭება)

ლუი. მოითხოვენ? ვისგან მოითხოვენ?

ბართლომე. შენგან, ხელმწიფე.

ლუი. ჩემგან? არქიეპისკოპოსო, ჩემგან რაღაცას მოითხოვენ.

შარონი. მომიტევეთ, ხელმწიფე. ეტყობა, დღეს შეიშალა. მე კი არ ვიცოდი. დამნაშავე ვარ.

ლუი. (სივრცეში) ჰერცოგო, თუ დიდად არ გაირჯებით, მამა ბართლომე სამი თვით ციხეში ჩასვით.

ბართლომე. (ყვირის) ანტიქრისტეს გულისთვის ვეწამები.

(მცირე მოძრაობა და მამა ბართლომე ისე გაქრება, თითქოს არც ყოფილიყო. ლუი საჭმელს შეექცევა)

ლუი. არქიეპისკოპოსო, მომიახლოვდით. ინტიმურად მინდა გესაუბროთ. (კარისკაცები კიბესთან მიგროვდებიან. მუშკეტერიც უკან დაიხვეს. ლუი და შარონი მარტონი დარჩებიან) მართლა შემლილია?

შარონი. (დამარწმუნებლად) დიახ, ხელმწიფევ. შეშლილია, მაგრამ გული ჭეშმარიტი ღვთისმსახურისა აქვს.

ლუი. არქიეპისკოპოსო, მოლიერი თქვენც სახიფათო კაცად მიგაჩნიათ?

შარონი. (დამარწმუნებლად) ნამდვილი სატანაა, ხელმწიფევ!

ლუი. ჰმ. მაშ ბართლომეს აზრს იზიარებთ?

შარონი. დიახ, ხელმწიფევ, ვიზიარებ. მისმინეთ, სირ, თქვენს სვებედნიერ და ძლევამოსილ მეფობას ჩრდილს არაფერი ჰყენს და ვერც მოჰყენს, ვიდრე გეყვარებათ...

ლუი. ვინ?

შარონი. ღმერთი.

ლუი. (შლაპას იხდის) მე მიყვარს ღმერთი.

შარონი. (ხელს მაღლა აღმართავს) ის იქაა, თქვენ კი მიწაზე, და სხვა არავინ არსებობს.

ლუი. დიახ.

შარონი. ხელმწიფევ, შენს ძლიერებას ზღვარი არ უდევს და არც არასოდეს დაედება, ვიდრე შენს სახელმწიფოს რელიგიის ნათელი ჰყენია.

ლუი. მიყვარს რელიგია.

შარონი. მაშ, ხელმწიფევ, ნეტარ ბართლომესთან ერთად გთხოვ, გამოესარჩლე რელიგიას.

ლუი. თქვენ ფიქრობთ, რომ მან რელიგია შეურაცხყო?

შარონი. დიახ, ხელმწიფევ.

ლუი. უტიფარი მსახიობი ნიჭიერია. კეთილი, არქიეპისკოპოსო, რელიგიას გამოვესარჩლები... მაგრამ... (ხმას დაუდაბლებს) მე მის გამოსწორებას შევეცდები, რადგან შეუძლია, ჩემი მეფობის განდიდებას ემსახუროს. მაგრამ, თუ კიდეც მოიქცევა უტიფრად, მაშინ კი დავსჯი. (პაუზა) იმას, თქვენს ნეტარს, უყვარს მეფე?

შარონი. დიახ, ხელმწიფევ.

ლუი. არქიეპისკოპოსო, ბერი ციხიდან სამი დღის შემდეგ გამოუშვით, მაგრამ შეაგნებინეთ, რომ საფრანგეთის მეფესთან საუბრისას არ შეიძლება სიტყვა „მოითხოვენ“ წარმოთქვას.

შარონი. ღმერთმა დალოცოს შენი სამართალი, ხელმწიფევ, ღვთისმგმობელი კი დალაზვროს.

ხმა. „თქვენი ბრწყინვალეობის მსახური, ბატონი დე მოლიერი“.

ლუი. მოუხმეთ.

მოლიერი. (შემოდის, ლუის შორიდანვე თავს უკრავს. კარისკაცებს წინ ჩაუვლის. ყველანი დაკვირვებით აცქერდებიან. იგი ძალზე მოტეხილია, სახეზე ავადმყოფური იერი ადევს, ფერმკრთალია) სირ!

ლუი. ბატონო დე მოლიერო, მე ვვახშმობ. არ დამემდუროთ.

მოლიერი. ოჰ, სირ!

ლუი. ხომ არ დამეწვევით? (სივრცეში) სკამი, ჭურჭელი.

მოლიერი. (გაფითრდება) თქვენო უდიდებულესობავ, დიდ პატივს მდებთ. თავს ამის ნებას ვერ

მივცემ.

(სკამი წამსვე გაჩნდება. მოლიერი კიდეზე ჩამოჯდება)

ლუი. ვარიას როგორ ეწყობით?

მოლიერი. ჩემი საყვარელი საჭმელია, ხელმწიფევ. (ვედრებით) ნება მომეცით, ავდგე.

ლუი. მიირთვით. ჩემი ნათლული როგორაა?

მოლიერი. მომიკვდა, ხელმწიფევ, ჩემდა საუბედუროდ.

ლუი. რას ამბობთ, მეორეც?

მოლიერი. ჩემი შვილები დიდი დღისანი არ არიან, ხელმწიფევ.

ლუი. გულს ნუ გაიტეხთ.

მოლიერი. თქვენო უდიდებულესობავ, თქვენთან ერთად ვახშმობა მთელს საფრანგეთში ჯერ არავის ღირსებია. მე შეშფოთებული ვარ.

ლუი. საფრანგეთი, ბატონო დე მოლიერო, თქვენს წინ, სავარძელში ზის, ვარიას შეექცევა და არაფერზე წუხს.

მოლიერი. ო, სირ, ამისი თქმა მთელს ქვეყანაზე მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ლუი. მითხარით, თქვენი ნიჭიერი კალამი უახლოეს ჟამს მეფეს რას მიუძღვნის?

მოლიერი. ხელმწიფე... რაც კი შეიძლება, რომ ღირსი იყოს. (ღელავს)

ლუი. თქვენი კალამი ბასრია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ არის თემები, სიფრთხილე რომ სჭირდება. „ტარტიუფში“ კი, დამეთანხმებით, სიფრთხილე არ გამოგიჩენიათ. სასულიერო პირებს პატივი უნდა სცეთ. ვიმედოვნებ, რომ ჩემი მწერალი უღმერთო არ უნდა იყოს.

მოლიერი. (შემკრთალი) რას ბრძანებთ... თქვენო უდიდებულესობავ.

ლუი. რადგან მწამს, რომ თქვენი შემოქმედება მომავალში სწორ გზას გაჰყვება, ნებას გრთავთ, თქვენი პიესა „ტარტიუფი“ პალე-როიალში დადგათ.

მოლიერი. (განცვიფრებულია) მიყვარხარ, მეფე! (აღელვებულია) სად არის არქიეპისკოპოსი დე შარონი? გაიგონეთ? გაიგონეთ?

(ლუი წამოდგება)

ხმა. „მეფის ვახშმოზა დასრულდა!“

ლუი. (მოლიერს) დღეს ლოგინს თქვენ გამიშლით.

(მოლიერი მაგიდიდან ორ სასანთლეს აიტაცებს და წავა. ლუი უკან მიჰყვება. თითქოს ქარმა დაუბერაო, მათ წინ ყველა გაიფანტება)

მოლიერი. (ყვირის მონოტონურად) გზა მიეცით მეფეს! გზა მიეცით მეფეს! (კიბეზე ასული სიცარიელეში გაჰყვირის) მიყურეთ, არქიეპისკოპოსო, ხელსაც ვერ მომაკარებთ! გზა მიეცით მეფეს! (ზემოთ საყვირთა ხმა გაისმის)

„ტარტიუფი“ ნებადართულია! (ლუისთან ერთად გადის)

(ყველა კარისკაცი გაუჩინარდება. სცენაზე მხოლოდ შარონი და ძმა ერთგულება დარჩებიან)

შარონი. (კიბესთან) ვერა, მეფე ვერ გამოგასწორებს. ღმერთო ძლიერო, შემეწიე, რომ ამ უღმერთოს კვალს მივყვე და ხელში ჩავიგდო! (პაუზა) ჩამოაგდე ამ კიბიდან. (პაუზა) მოდით ჩემთან, ძმაო ერთგულება! (ძმა ერთგულება შარონთან მიდის) ძმაო ერთგულება, ეს რა ჰქმენით? შეშლილი მომიგზავნეთ? მე კი დაგიჯერეთ, რომ ხელმწიფის ყურადღებას მიიქცევდა.

ძმა ერთგულება. რა ვიცოდი, თუ, მოითხოვენო, იტყოდა.

შარონი. მოითხოვენ!

ძმა ერთგულება. მოითხოვენ! (პაუზა)

შარონი. ქალი მონახეთ?

ძმა ერთგულება. დიახ, არქიეპისკოპოსო. ყველაფერი მზადაა. წერილი გაუგზავნა და მოიყვანს.

შარონი. მერე, გამოჰყვება?

ძმა ერთგულება. ქალს? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!

(კიბის თავზე ცალთვალა გამოჩნდება. შარონი და ძმა ერთგულება გადიან)

ცალთვალა. (თავისთვის მხიარულობს) ბერი ანტიქრისტეს დაჭერას აპირებდა და ხელში სამი თვის პატიმრობა შერჩა. ჭემმარტო ღმერთო, ილო...

სამართლიანი მეწაღე. (კიბის ქვემოდან გამოდის) შენ ხარ, ილოცე?

ცალთვალა. რა გინდა მერე, მე რომ ვარ, შეგიძლია, უბრალოდ, მარკიზი დ'ორსინი დამიძახო. აბა, რას მეტყვი?

სამართლიანი მეწაღე. წერილი მოგიტანე.

ცალთვალა. ვისგან?

სამართლიანი მეწაღე. ემშაკმა უწყის. პარკში შემომხვდა, ნილაბი ეკეთა.

ცალთვალა. (წერილს კითხულობს) ჰმ, ნეტავ რა ქალია?
სამართლიანი მეწაღე. (წერილს ათვალაიერებს) მე მგონი, მსუბუქი
ყოფაქცევისაა.

ცალთვალა. რატომ გგონია?

სამართლიანი მეწაღე. იმიტომ, რომ წერილებს წერს.

ცალთვალა. უჰ, შე ბრიყვო.

სამართლიანი მეწაღე. რას იყეფები?

ცალთვალა. კარგი ტანი აქვს?

სამართლიანი მეწაღე. მაგას თავად შეამოწმებ.

ცალთვალა. მართალი ხარ. (მიდის ჩაფიქრებული)

(კელაპტრები თანდათან ქრება. კართან აჩრდილებივით გაჩნდებიან
შავი მუშკეტერები. კიბის თავიდან გაბმით გაისმის ხმა: „მეფეს
სძინავს!“ მეორე ხმა მოშორებით: „მეფეს სძინავს!“ მესამე ხმა
მიწისქვეშეთიდან, საიდუმლოდ: „მეფეს სძინავს!“)

სამართლიანი მეწაღე. მეც დავიძინებ.

(ბანქოს სათამაშო მაგიდაზე დაწვება და ღერბებიან ფარდაში
გაეხვევა ისე, რომ საძაგელი წაღებილა მოუჩანს. სასახლე სიბნელეში
ჩაინთქმება.

გამოჩნდება მოლიერის ბინა. დღეა. კლავესინის სახურავი ახდლია.
მუარონი, მდიდრულად ჩაცმული, ასე ოცდაორი წლის ძალიან
ლამაზი კაცი. ნაზად უკრავს. არმანდა სავარძელში ზის. უსმენს და
თვალს არ აცილებს. მუარონი დაკვრას ამთავრებს)

მუარონი. დედიკო, მოგწონთ ჩემი დაკვრა?

არმანდა. ბატონო მუარონო, მე ხომ გთხოვეთ, დედიკო არ
დამიძახოთ-მეთქი.

მუარონი. ქალბატონო, ჯერ ერთი, მე მუარონი კი არა, ბატონი დე
მუარონი გახლავართ. ასე! ხე-ხე. ხო-ხო.

არმანდა. ტიტული კლავესინში ჯდომისას ხომ არ მიგიღიათ?

მუარონი. კლავესინს ნუ გავიხსენებთ. მივიწყების მტვრითაა
დაფარული. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ახლა მე სახელოვანი
მსახიობი ვარ, პარიზი ტაშს მიკრავს. ხე-ხე. ხო-ხო.

არმანდა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამას ჩემი ქმრის წყალობით
მიაღწიეთ. იმან მოგკიდათ ხელი ჭუჭყიან ყურზე და კლავესინიდან
ამოგათრიათ.

მუარონი. ხელი ყურზე კი არა, არანაკლებ ჭუჭყიან ფეხზე მომკიდა.
თქმა არ უნდა, მამა ღირსეული კაცია, მაგრამ სატანასავით ეჭვიანია
და საშინელი ხასიათი აქვს.

არმანდა. შემიძლია, ჩემს ქმარს მივულოცო. განსაცვიფრებლად
თავხედი შვილობილი ჰყავს.

მუარონი. მართალია, ცოტას წავითავხედებ. ასეთი ხასიათი მაქვს.
მაგრამ ჩემისთანა მსახიობი

მთელს პარიზში არ არის! (ზედმეტად მხიარულობს)

არმანდა. ოჰ, შე მართლა თავხედო, მოლიერს აღარაფრად აგდებ?

მუარონი. რაც მართალია, მართალია, სამნი ვართ: მე და მეტრი.

არმანდა. მესამე ვინლაა?

მუარონი. თქვენ, დედა. თქვენ, ჩემო სახელოვანო მსახიობო, თქვენ,
ფსიქეა. (ხმადაბლა უკრავს, იწყებს დეკლამირებას) გაზაფხულზე
ტყეში... დანავარდობს ღმერთი...

არმანდა. (ყრუ ხმით) განზე გაიწი.

მუარონი. (მარცხენა ხელს არმანდას გადაჰხვევს, მარჯვენათი
უკრავს) და ამური ნისლშიც...

არმანდა. ისარს მარჯვედ ისვრის... (შეშფოთებით) ბუტონი სად
არის?

მუარონი. ნუ გეშინია, ერთგული მსახური ბაზარშია.

არმანდა. (დეკლამაციას განაგრძობს) ღრუბლებს ზემოთ, ვენერას
ხმა ისმის... საყვარელო ჩემო, ამიჩქროლე სისხლი. (მუარონი კაბის

კალთას აუწევს, ფეხზე კოცნის; არმანდა შეკრთება, თვალებს ხუჭავს) არამზადა! (შეშფოთებული) რენე სადაა?

მუარონი. დედაბერი სამზარეულოშია. (მეორე მუხლზე კოცნის) დედა, ჩემს ოთახში შევიდეთ.

არმანდა. არაფრის გულისათვის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ვფიცავ!

მუარონი. წავიდეთ ჩემთან.

არმანდა. შენ ყველაზე სახიფათო კაცი ხარ მთელ პარიზში. წყეულიმც იყოს ის წუთი, როცა კლავესინიდან ამოგათრიეს.

მუარონი. დედა, წავიდეთ...

არმანდა. ღვთისმშობელს ვფიცავ, არ წამოვალ. (წამოდგება) არ წამოვალ! (მიდის, მუარონთან ერთად კარს მიეფარება; მუარონი კარს გასაღებით გადაკეტავს) კარს რატომ კეტავ? (ყრუ ხმით) მე შენ დამღუპავ!..

(პაუზა; შემოდის ბუტონი. კალათით ბოსტნეული მოაქვს. კალათიდან სტაფილოს წვერებია ამოჩრილი)

ბუტონი. (მიაყურადებს, კალათს იატაკზე დადგამს) უცნაურია. (ფეხსაცმელს გაიხდის, კართან მიიპარება, ყურს უგდებს) ოჰ, ეს არამზადა!.. არა, ბატონებო, მე აქ არაფერი მესაქმება. არც დამინახავს რამე და არც გამიგონია... არაფერი არ ვიცი... ოჰ, მამა-ზეციერო, მოდის! (მიიმალემა, იატაკზე კალათი და ფეხსაცმელი დარჩება)

მოლიერი. (შემოდის, ჯოხსა და შლაპას დააწყობს, ფეხსაცმელს გაოცებული უყურებს) არმანდა!

(კარში გასაღები მყისვე გადატრიალდება. მოლიერი სწრაფად შედის შიგნით. კარს იქით არმანდა შეკვივლებს, ატყდება ხმაური. კარიდან მუარონი გამოვარდება, ხელში თავისი პარიკი უჭირავს)

მუარონი. რას სჩადიხართ?!

მოლიერი. (უკან მოსდევს) არამზადავ! (სული ეხუთება) თვალს არ ვუჯერებ!.... (სავარძელში ჩაჯდება. კარში გასაღები გადატრიალდება)

არმანდა. (კარს იქიდან) ჟან-ბატისტ, გონს მოდი!

(ბუტონი ოთახში შემოიხედავს და მყისვე გაქრება)

მოლიერი. (კარისკენ მუშტს მუქარით დაიქნევს) ჩემს ლუკმას ჭამდი და სანაცვლოდ თავსლაფი დამასხი?

მუარონი. თქვენ მე გამარტყით, მაშ მიფრთხილდით! (დაშნის სახელურს მისწვდება)

მოლიერი. ახლავე გაუშვი ხელი დაშნას, შე წუნკალო!

მუარონი. მე თქვენ დუელში გიწვევთ!

მოლიერი. რაო? (პაუზა) გაეთრიე ჩემი სახლიდან!

მუარონი. იცით რა, მამავ, თქვენ შეშლილი ხართ, ნამდვილი სგანარელი.

მოლიერი. უსინდისო, მაწანწალავ! კაცად გაქციე, მაგრამ კვლავ ქუჩაში გიკრავ თავს. შენ ბაზრის მოედნებზე ითამაშებ. ზაქარია მუარონო, დღეიდან „პალე-როიალის“ დასში აღარ ირიცხები. მომწყდი თავიდან!

მუარონი. მაშ დასიდან მაგდებთ?

მოლიერი. გასწი აქედან, შე ქურდო.

არმანდა. (კარს იქიდან, სასოწარკვეთილი ხმით) მოლიერო!

მუარონი. (დაბნეული) მამავ, მოგეჩვენათ, ჩვენ ფსიქეას სცენას ვიმეორებდით... საკუთარი ტექსტიც აღარ გახსოვთ. რად გინდათ, რომ სიცოცხლე გამიმწართ?

მოლიერი. წადი, თორემ მართლა გაგიყრი დაშნას.

მუარონი. ასე ხომ? (პაუზა) ძალიან მინდა შევიტყო, დონ-ჟუანს ვიდას ათამაშებთ? იქნებ ლაგრანჟს? ხო-ხო. (პაუზა) მაგრამ იცოდეთ, ბატონო დე მოლიერო, ინანებთ უგუნურებას. (პაუზა) მე, ბატონო მოლიერო, თქვენი საიდუმლო ვიცი. (მოლიერი გაიცინებს)

ქალბატონი მადლენ ბეჟარი აღარ გახსოვთ? დაივიწყეთ ხომ? ახლა სიკვდილის პირასაა. სულ ლოცულობს... ისე, რომ იცოდეთ, ბატონო ჩემო, საფრანგეთს მეფე ჰყავს.

მოლიერი. შე ღლაპო, რას ბოდავ?

მუარონი. მამ ვბოდავ, ხომ? აქედან პირდაპირ არქიებისკოპოსთან წავალ.

მოლიერი. (გაიცინებს) გმადლობ ღალატისათვის. გავიგე, რაც ყოფილხარ, მაგრამ იცოდე, სანამ ამას მეტყობდი, გული კიდე შეიძლებოდა მომეღობო, ახლა კი იმედი ნულარ გექნება. გასწი აქედან, საბრალო ბრიყვო!

მუარონი. (კარიდან) წყეულო სგანარელო!

(მოლიერი კედლიდან დამბაჩას ჩამოიღებს და მუარონი მყისვე გაქრება)

მოლიერი. (კარს ანჯღრევს, მერე გასაღების ჭუჭრუტანაში შესძახებს) უჰ, შე ქუჩის ქალო! (არმანდა კარს იქით აქვითინდება) ბუტონო! (შემოდის წინდებისამარა ბუტონი)

ბუტონი. რას მიბრძანებთ?

მოლიერი. უჰ, შე მაჭანკალო!

ბუტონი. ბატონო...

მოლიერი. შენს ფეხსაცმელს აქ რა უნდა?!

ბუტონი. ეს, ჩემო ბატონო...

მოლიერი. ცრუობ, თვალეზზე გატყობ, რომ ცრუობ!

ბუტონი. ბატონო ჩემო, იმისათვის რომ იცრუო, რაღაც ხომ მაინც უნდა თქვა. მე კი ჯერ ენაც არ დამიძრავს. ფეხსაცმელი იმიტომ გავიხადე, რომ... აბა, ლურსმნებს შეხედეთ!.. დანალული ფეხსაცმელია, ღმერთმა დაწყევლოს... ჰოდა, მოგეხსენებათ, ვაბრაგუნებდი. ისინი კი რეპეტიციას ატარებდნენ და კარი ჩაიკეტეს.

არმანდა. (კარს იქით) დიახ!

მოლიერი. ბოსტნეულზე რაღას იტყვი?

ბუტონი. ბოსტნეული, აბა, რაღა შუაშია? ბაზრიდან მოვიტანე. (ფეხსაცმელს იცვამს)

მოლიერი. არმანდა! (ღუმილი; გასაღების ჭუჭრუტანაში შესძახებს) შენ რა, გინდა, რომ მოვკვდე? მე ხომ გული მტკივა.

ბუტონი. (ჭუჭრუტანაში) თქვენ რა, გინდათ, რომ მოვკვდეს? ამას ხომ გული სტკივა.

მოლიერი. მომწყდი თავიდან. (კალათს ფეხს წაჰკრავს. ბუტონი მყისვე გაქრება) არმანდა... (კართან სკამზე ჩამოჯდება) ცოტაც მოითმინე და გაგათავისუფლებ. არ მინდა, რომ სული მარტოობაში ამომხდეს... არმანდა... (გამოდის ნამტირალევი არმანდა) შეგიძლია, დაიფიცო?

არმანდა. გეფიცები.

მოლიერი.

მითხარი

რამე.

არმანდა. (ცხვირის სრუტუნით) ასეთი დრამატურგი ხარ, შინ კი... შინ კი... ვერ გამიგია, რა გემართება. ეს რა ჩაიდინე? მთელი პარიზი ალაპარაკდება. მუარონი რატომ გააგდე?

მოლიერი. მართალი ხარ. შევრცხვებით. მაგრამ ხომ იცი, მუარონი რაც ბრძანდება. არამზადაა, გველია. უზნეო, უზნეო ყმაწვილია. მეშინია, უბედურებას არ გადაეყაროს. მართლაც, სასოწარკვეთილი პარიზში ხეტიალს მოჰყვება. მე კი გავარტყი... ოჰ, როგორ ვწუხვარ!.. არმანდა. დააბრუნე, დააბრუნე.

მოლიერი. ერთი დღე იწანწალოს და მერე დაავაბრუნებ.

ფ ა რ დ ა

მესამე მოქმედება

ქვისკედლებიან სარდაფს სამკელაპტრიანი ჭალი ანათებს. მაგიდაზე წითელი მაუდია გადაფარებული. ზედ წიგნი და რაღაც ხელნაწერები აწყვია. მაგიდას უსხედან საღვთო წერილის კაბალის ნიღბიანი წევრები. სავარძელში განცალკევებით ზის უნიღბო შარონი. კარი გაიღება, სამაგელი გარეგნობის ორ შავოსანს ხელეგაბაწრული და თვალეგაბეული მუარონი შემოჰყავს. ხელებს გაუხსნიან და თვალეგაბიდანაც სახვევს მოაშორებენ.

მუარონი. სად მომიყვანეთ?

შარონი. განა სულ ერთი არ არის, შვილო ჩემო? აბა, ამ უმწიკვლო ძმათა კრების წინაშე შენი დასმენა გაიმეორე!

(მუარონი დუმს)

ძმა ძალა. ენა ხომ არ ჩაგივარდა?

მუარონი. კხ... ნეტარო არქიეპისკოპოსო. მაშინ კარგად ვერ გავიგონე და... მირჩევნია, არაფერი ვთქვა.

შარონი. შვილო ჩემო, მამ გამოდის, დილას ჩემთან ბატონ მოლიერს ცილი დასწამე.

(მუარონი დუმს)

ძმა ძალა. უხამსო კოპწიავ, უპასუხე არქიეპისკოპოსს.

(დუმილი)

შარონი. შვილო ჩემო, სამწუხაროდ, ცილისმწამებელი ყოფილხარ.

ძმა ძალა. სიცრუე საზიანოა, ძვირფასო მსახიობო. ციხეში გიკრავენ თავს, ლამაზო ბიჭო, ბაღლინჯოების კერძი გახდები. ჩვენ კი ამ საქმეს მსვლელობას მაინც მივცემთ.

მუარონი. (ხმაჩახლეჩილი) მე ტყუილი არ მითქვამს.

ძმა ძალა. მოთმინება ნუ დამაკარგვინე, მოყვე. (მუარონი დუმს) ჰეი!

(კარიდან ორნი შემოდიან. მუარონის მომყვანებზე უარესი შესახედავნი არიან; მუარონის ფეხსაცმელს უყურებს) ლამაზი ფეხსაცმელი გაცვია, მაგრამ უკეთესს ჩაგაცმევთ. (ჯალათებს) აბა, ესპანური ჩექმა მოიტანეთ.

მუარონი. ოჰ, არ გინდათ. რამდენიმე წლის წინ, როცა ყმაწვილი ვიყავი, თაღლითის კლავესინში ვიჯექი.

ძმა ძალა. იქ რა ჯანდაბა გინდოდა?

მუარონი. შიდა კლავიატურაზე ვუკრავდი. ფოკუსია ასეთი, კლავესინი თითქოს თავისით უკრავს.

ძმა ძალა. მერე?

მუარონი. კლავესინში... არა, არ შემძლია, წმინდა მამაო! დილას მთვრალი ვიყავი და დამავიწყდა, რა გითხარით.

ძმა ძალა. უკანასკნელად გთხოვ, სიტყვას ნუ წყვეტ.

მუარონი. ღამით ხმა ჩამესმა. ბატონმა მოლიერმა ცოლად მადღენ ბეჟარის და კი არა, ქალიშვილი შეირთო.

ძმა ძალა. ვისი ხმა ჩაგესმა?

მუარონი. მე მგონი, მომეჩვენა.

ძმა ძალა. ვისი ხმა მოგეჩვენა?

მუარონი. მსახიობ ლაგრანჟისა.

შარონი. კარგი, კმარა, გმადლობ, ჩემო მეგობარო. შენ პატიოსნად მოიხადე შენი ვალი. ნუ ინაღვლებ. მეფის ყოველი ერთგული ქვეშევრდომი და ძე ეკლესიისა, თუკი ვინმეს დანაშაულს შეიტყობს, მოვალეა, მყისვე დაასმინოს და ეს დიდ პატივადაც უნდა მიაჩნდეს.

ძმა ძალა. კარგი ყმაწვილია. პირველად არ მომეწონა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ კეთილმოსურნე კათოლიკეა.

შარონი. (მუარონს) მეგობარო, ახლა სადაც მიგიყვანენ, ერთ ან ორ დღეს დარჩები. იქ კარგად მოგეპყრობიან და გიმასპინძლებენ, მერე კი მეფესთან წაგიყვან. (მუარონს თვალეგაბს უხვევენ, ხელებს გაუკრავენ და გაიყვანენ) ძმანო ჩემო, აქ ერთ კაცს შემოიყვანენ. იგი

ჩემს ხმას ცნობს და ამიტომ მასთან ლაპარაკს ძმა ერთგულებას ვთხოვ.

(კარზე აკაკუნებენ. შარონი სახეზე კაპიშონს ჩამოიფარებს და ჩრდილს შეეფარება. ძმა ერთგულება კარს გააღებს. შემოდის ნილზიანი უცნობი ქალი და ცალთვალა ხელჩაკიდული შემოჰყავს. ცალთვალას თვალები ხელსახოცით აქვს ახვეული)

ცალთვალა. მომჯადოებელო, სახვევის მოხსნის ნებას როდის მომცემთ? შეგეძლოთ, ჩემს სიტყვასაც ნდობოდით. ილოცე, თქვენს ბინაში სინესტის სუნი დგას.

ნილზიანი უცნობი ქალი. ერთი საფეხურიც, მარკიზო. ასე... მოიხსენით. (მიიმალება)

ცალთვალა. (სახვევს მოიხსნის და მიმოიხედავს) აა! ილოცე! (მარჯვენა ხელით მყისვე იშიშვლებს დაშნას, მარცხენათი დამბაჩას მოიმარჯვებს და კედელს ზურგით მიეყრდნობა. მის მოძრაობას დიდი გამოცდილება ეტყობა. პაუზა) აქ ზოგიერთს მოსასხამის ქვეშ დაშნის წვერი მოუჩანს. თქვენ იმდენი ხართ, რომ შეიძლება, ჩემი მოკვლა მოახერხოთ, მაგრამ გაფრთხილებთ, სამ თქვეგანს მაინც ამ ჯურღმულიდან ფეხებით გაათრევენ. მე „ილოცეს“ მეძახიან. ადგილიდან არ დაიძრათ! სად არის ის გათახსირებული, მახეში რომ შემომიტყუა?

ნილზიანი უცნობი ქალი. (სიბნელიდან) აქ გახლავართ, მარკიზო, მაგრამ გათახსირებული არა ვარ.

ძმა ძალა. მარკიზო, ქალს რას აკადრებთ.

ძმა ერთგულება. გთხოვთ, დაწყნარდეთ. თავს არავინ გესხმით.

ძმა ძალა. მარკიზო, ეგ დამბაჩა შეინახეთ, თორემ ამოთხრილი თვალივით იცქირება და საუბრის ხასიათს გვიფუჭებს.

ცალთვალა. მითხარით, სადა ვარ?

ძმა ერთგულება. ეკლესიის სარდაფში.

ცალთვალა. მე მოვითხოვ, რომ აქედან გამიშვან.

ძმა ერთგულება. როცა მოისურვებთ, კარს მაშინვე გაგიღებენ.

ცალთვალა. მაშ რატომღა შემომიტყუეთ? ილოცე! იქნებ მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებას ამზადებთ?

ძმა ერთგულება. შეგინდოს უფალმა, მარკიზო, აქ მხოლოდ მეფის მხურვალე თაყვანისმცემელნი არიან. თქვენ საღვთო წერილის კაბალის საიდუმლო კრებაზე ხართ.

ცალთვალა. ოჰ, კაბალა! მე მისი არსებობა არ მჯეროდა. რისთვის დაგჭირდით? (დამბაჩას ინახავს)

ძმა ერთგულება. დაჯექით, მარკიზო, გთხოვთ.

ცალთვალა. გმადლობთ. (დაჯდება)

ძმა ერთგულება. ჩვენ ვწუხვართ თქვენს გამო, მარკიზო.

კაბალის წევრები. (ერთხმად) ჩვენ ვწუხვართ!

ცალთვალა. მე არ მიყვარს, როცა ვინმე წუხს. მითხარით, რა გაწუხებთ.

ძმა ერთგულება. მარკიზო, ჩვენ გვსურს გაგაფრთხილოთ, რომ მეფის კარზე დაგცინიან.

ცალთვალა. ეს შეუძლებელია. მე „ილოცეს“ მეძახიან.

ძმა ერთგულება. თქვენი უბადლო ხელოვნების ამბავი საფრანგეთში ვის არ სმენია? სწორედ ამიტომაც ჩურჩულებენ ზურგს უკან.

ცალთვალა. (მაგიდას დაშნას დაჰკრავს) გვარი მითხარით!

(კაბალის წევრები პირჯვარს გადაიწერენ)

ძმა ძალა. აურზაური რა საჭიროა, მარკიზო?

ძმა ერთგულება. მეფის კარზე ყველა ჩურჩულებს.

ცალთვალა. მითხარით, თორემ მოთმინებას ვკარგავ!

ძმა ერთგულება. იცნობთ თუ არა ვინმე ჟან-ბატისტ მოლიერის უსაძაგლეს პიესას, „ტარტიუფი“ რომ ეწოდება?

ცალთვალა. მე „პალე-როიალის“ თეატრში არ დავდივარ, მაგრამ პიესის სახელწოდება კი გამიგონია.

მმა ერთგულება. ამ პიესაში ღვთისმგმობმა კომედიანტმა სასაცილოდ აიგდო რელიგიაც და მისი მსახურნიც.

ცალთვალა. რა უმსგავსობაა!

მმა ერთგულება. მაგრამ მოლიერს მხოლოდ რელიგია არ გაუმასხრებია. მას მაღალი საზოგადოებაც სძულს და დასცინის. პიესა „დონ ჟუანს“ თუ იცნობთ?

ცალთვალა. ეგაც გამიგონია. მაგრამ ერთი მითხარით, პალეროილის ბალაგანს დ'ორსინისთან რა კავშირი აქვს?

მმა ერთგულება. ჩვენ ნამდვილად ვუწყით, მარკიზო, რომ კომედიების მჯღაბნელმა თავისი გმირის დონ ჟუანის როლში თქვენ გამოგიყვანათ.

ცალთვალა. (დაშნას ჩააგდებს) ვინ არის ეგ დონ ჟუანი?

მმა ძალა. ღვთისმგმობი, არამზადა, მკვლეელი და, მომიტევეთ, მარკიზო, ქალების გამხრწნელი.

ცალთვალა. (სახე დაედრიჯება) ასე ხომ? გმადლობთ.

მმა ერთგულება. (მაგიდიდან ხელნაწერს აიღებს) მასალებს ხომ არ გაეცნობოდით?

ცალთვალა. არა, გმადლობთ, არ მაინტერესებს. მითხარით, აქ მყოფთა შორის იქნებ არის ვინმე, ვისაც ჰგონია, რომ პიესის ავტორს ჩემი გამასხრების საფუძველი ჰქონდა?

მმა ერთგულება. ძმანო, არის ასეთი ვინმე? (კაბალის წევრები ერთხმად უარს ამბობენ) არავინ არ არის. მაშ, ასე. ხომ ნახეთ, რა სურვილი გვამომრავებდა, ასეთი უცნაური ხერხით რომ მოგიწვიეთ საიდუმლო კრებაზე. აქ, მარკიზო, თქვენი წრის ხალხია და ალბათ, დაგვერწმუნებით, რომ ძალზე გულნატკენი ვართ.

ცალთვალა. მჯერა. გმადლობთ.

მმა ერთგულება. დიდად პატივცემულო მარკიზო, ვიმედოვნებთ, რაც აქ ითქვა, ჩვენს შორის დარჩება და ვერც იმას შეიტყობს ვინმე, რომ ჩვენთან იყავით.

ცალთვალა. მაგის ჯავრი ნუ გექნებათ. სად არის ის ქალი, ვინც აქ მომიყვანა?

ნილბიანი უცნობი ქალი. (წინ წამოდგება) აქ გახლავართ.

ცალთვალა. (პირქუშად) თქვენს წინაშე ბოდის ვიხდი, ქალბატონო. ნილბიანი უცნობი ქალი. ღმერთი მოგიტევეთ, მარკიზო. მეც მიპატიებია. ახლა გამომყევით და იქვე მიგიყვანთ, სადაც ერთმანეთს შეეხვდით. ნება გვიბოძეთ, თვალები კვლავ აგიხვიოთ, რადგანაც ამ პატივცემულ საზოგადოებას არ სურს, რომ მათი კრების ადგილსამყოფელისკენ მიმავალი გზა ვინმემ იცოდეს.

ცალთვალა. თუ ეს ასეთი აუცილებელია. (ცალთვალას თვალებს აუხვევენ და უცნობ ქალს გაჰყავს. კარს დახურავენ)

შარონი. (კაპიშონს მოიხდის და სიბნელიდან გამოვა) საღვთო წერილის კაბალის კრებას დახურულად ვაცხადებ. ვილოცოთ, ძმანო ჩემნო.

(კაბალის წევრები წამოდგებიან და ხმადაბლა გალობენ: „Laudamus, tibi, Domine, rese aeternae gloriae.“ უზარმაზარი ტაძარი საკმევლის კვამლითაა დაბურული. აქეთ-იქით მიაქვთ ანთებული სანთლები. არქიეპისკოპოსის პატარა სააღმსარებლოში სანთლები ანთია. ჩაივლის ორი შავი ლანდი. გაისმის ყრუ ჩურჩული: „ტარტიუფი“ ნახეთ?“ „ტარტიუფი“ ნახეთ?“, მერე სიჩუმე ჩამოვარდება. შემოდინ არმანდა და ლაგრანჟი, ხელგაყრილი მოჰყავთ მადლენი. მადლენი გაჭალარავებულია, ავადმყოფური იერი აქვს)

მადლენი. გმადლობ, არმანდა. გმადლობთ თქვენც, ვარლე, ჩემო ერთგულო მეგობარო.

(ორღანის ხმა გაისმის)

ლაგრანჟი. ჩვენ აქ მოგიცდით. აგერ არქიეპისკოპოსის კარი.

(მადლენი პირჯვარს გადაიწერს, გაუბედავად დააკაკუნებს და სააღმსარებლოში შედის. არმანდა და

ლაგრანჟი შავ მოსასხამებში გაეხვევიან და სკამზე ჩამოსხდებიან. მათ სიბნელე შთანთქავს)

შარონი. (სააღმსარებლოში აღიმართება) ასულო ჩემო, მოდიო ჩემთან. თქვენ მადლენ ბეჟარი ხართ? (ორღანი დადუმდება) შვეიტყვე, რომ ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმოსავი შვილი ხართ, ამიტომ შეგიყვართ გულმან ჩემმან. გადავწყვიტე, აღსარება თავად გათქმევიოთ.

მადლენი. დიდ პატივს მდებო ცოდვილს. (შარონს ხელებს უკოცნის)

შარონი. (მადლენს ჯვარს გადასახავს და თავზე საბურველს გადაახურებს) ავად ხართ, საბრალო?

მადლენი. ავად ვარ, ჩემო არქიეპისკოპოსო.

შარონი. (ტანჯული ხმით) წუთისოფელს გინდა გამოეთხოვო?

მადლენი. დიახ, მინდა, მინდა...

(მალღა ორღანის ხმა გაისმის)

შარონი. რითი ხარ ავად?

მადლენი. ექიმები მეუბნებიან, სისხლი გაგიწყალღაო. ერთთავად სატანა მეღანდება და მეშინიღა.

შარონი. საბრალო ქალო! სატანისღან თავს რითი იცავ?

მადლენი. ვლოცულობ.

(ორღანი დადუმდება)

შარონი. ამისათვის ღმერთი აღღამაღლებს და შეგიყვარებს.

მადლენი. არ დამივიწყებს?

შარონი. არღ, მითხარ, რღ შეცოდება გაქვს.

მადლენი. მთელი სიცოცხლე ვცოდავდი, მამაო. ვმრუშობდი, ვცრუობდი, მრავალ წელს ვმსახიობობდი და ყვეღას მოხიბღვღას ვცდილობდი.

შარონი. გაიხსენე, მიუტევებელი ცოდღა თუ ჩაგიდენიღა!

მადლენი. არ მახსენდება, არქიეპისკოპოსო!

შარონი. (მწუხარედ) უგუნური არიღან ადამიანები. გულში ვარვარღა ლურსმანგაყრილი წარსდები იქ და იმ ლურსმანს ვეღარავინ ამოგიღებს. ვერასოდღეს! თუ გესმის, რღს ნიშნავს სიტყვღა „ვერასოდღეს“?

მადლენი. (ჩაფიქრდება) მესმის. (შეშინდება) ოჰ, მეშინიღა!

შარონი. შენ კოცონებს იხიღავ... მათ შორის კი...

მადლენი. ...მცველი დააბიჯებს... დააბიჯებს...

შარონი. ...და ჩურჩულებს... ცოდღა იქ რღტომ არ დღტოვე და თღნ რღტომ გამოიყოღო?

მადლენი. მე მუხღს მოვიყური და ღმერთს შევევედრები.

(ორღანის ხმა გაისმის)

შარონი. უფღლი შენს ვედრებას აღარ შეისმენს. ჯღჭვებით ჩამოგკიდებენ, ვეხებზე კოცონის აღი შემოგენტება... და ასე ეკიდები სამუდამოდ. თუ გესმის, რღს ნიშნავს სიტყვღა „სამუდამოდ“?

მადლენი. მაშინებს ეგ სიტყვღა. რომ გავიგო, რღს ნიშნავს, მყისვე მოვკვდები. (სუსტი ხმით შეჰყვირებს) მივხვდი. თუ ცოდღას აქ დღვტოვებ?

შარონი. მარადიულ ღვთისმსახურებას ეზიარები.

(ზემოთ სღნთლებით ჩივიღის პროცესიღა. გაისმის ბღვშვთღა გღლობღა. პროცესიღა გაუჩინარდება და გღლობის ხმღც მიწყდება)

მადლენი. (ხელებს ისე ასღვსღვებს, თითქოს სიბნელეში იყოს) სღდ ხართ, წმინღაო მამაო?

შარონი. (ყრუ ხმით) აქ ვარ... აქ ვარ... აქ ვარ!..

მადლენი. მინღა, მარადიულ ღვთისმსახურებას ვეზიარო. (აღტყინებით ჩურჩულებს) წინღათ, დიდი ხნის წინღათ, პროვინციღაში როცღ ვცხოვრობდი, ქღლიშვილი არმღნღა მეყოღღა და მთელი სიცოცხლე ვიტღნჯებოდი, რღდღღან არ ვიცოდი, ვისღღან მყავღღა...

შარონი. ოჰ, შე საბრალო...

მადლენი. როცა გაიზარდა, პარიზში ჩამოვიყვანე და ჩემს დად გავასაღე. მოლიერს კი დაუოკებელი ვნება დაეუფლა და არმანდა სარეცელის მოზიარედ გაიხადა. მე ვეღარაფერი ვუთხარ, რომ ისიც არ გამეუბედურებინა. მოლიერმა ჩემი მიზეზით შეიძლება მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა, მე კი ჯოჯოხეთში ჩამავდო. მინდა, მარადიულ ღვთისმსახურებას ვეზიარო.

შარონი. მე, არქიეპისკოპოსი, ღვთისგან ბოძებული უფლებით ცოდვას მიგიტევებ.

მადლენი. (სიხარულისაგან ტირის) ახლა შემოდლია, მარადიულობას შევუერთდე?

(მძლავრად გაისმის ორღანის ხმა)

შარონი. შეუერთდები, შეუერთდები. (ორღანი დადუმდება) თქვენი ქალიშვილი აქ არის? მოუხმეთ, მასაც მიუვტევებ უნებურ ცოდვას.

მადლენი. (სააღმსარებლოდან გამოდის) არმანდა, არმანდა, ჩემო დაო, შედი, არქიეპისკოპოსი შენც დაგლოცავს. მე ბედნიერი ვარ!.. ბედნიერი ვარ!..

ლაგრანჟი. წამოდით, კარეტაში ჩავსვამთ.

მადლენი. მერე, არმანდა?

ლაგრანჟი. არმანდასთან დავბრუნდები. (მადლენი სიბნელეში მიჰყავს; არმანდა სააღმსარებლოში შედის. შარონი არმანდას ჯვარს გადასახავს, მძლავრად გაისმის ორღანის ხმა)

შარონი. მითხარ, იცი ახლა ჩემთან ვინ იყო?

არმანდა. (შემრწუნდება; უცებ ყველაფერს მიხვდება) არა, არა... ის ჩემი და არის, ჩემი და არის...

შარონი. ის შენი დედაა. ცოდვას შეგინდობ, მაგრამ მოლიერი დღესვე უნდა მიატოვო... უნდა მიატოვო.

(არმანდა სუსტად წამოიკვივლებს და გულადმა გაიშოტება. სააღმსარებლოს წინ უძრავად წევს. შარონი გაუჩინარდება. ისმის ორღანის გუგუნნი)

ლაგრანჟი. (ბინდბუნდში დაბრუნდება) არმანდა, ცუდად ხართ? (სიბნელე)

...დღეა. მეფის მისაღები დარბაზი. ლუი მაგიდასთან დგას. ოქრომკედით მოქარგული შავი ხიფთანი აცვია. მის წინ სახეჩაშავებული, განაწამები შარონი დგას. იატაკზე სამართლიანი მეწაღე ზის და წაღებს აკერებს.

შარონი. ეს რომ სინამდვილეა, მან სიკვდილის წინა აღსარებაზე აღიარა. ამიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, საჭიროდ აღარ მივიჩნიე, მსახიობი ლაგრანჟი დამეკითხა და ეს სამარცხვინო ამბავი გამეხმაურებინა. ძიება შევწყვიტე. თქვენო უდიდებულესობავ, მოლიერმა მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა. თუმცა, როგორც ინებებს, ისე განსაჯოს თქვენმა უდიდებულესობამ.

ლუი. გმადლობთ, ჩემო არქიეპისკოპოსო, თქვენ სწორად მოიქეცით. საქმე გამორკვეულად მიმაჩნია. (ზარს დარეკავს, სივრცეში ამბობს) ახლავე გამოიძახეთ „პალე-როიალის“ თეატრის დირექტორი ბატონი დე მოლიერი. ამ ოთახებიდან მცველები მოხსენით. განმარტოვებით მინდა ვესაუბრო. (შარონს) არქიეპისკოპოსო, მუარონი გამომიგზავნეთ.

შარონი. ახლავე, სირ. (გადის)

სამართლიანი მეწაღე. დიადო მეუფევე, როგორც ჩანს, დამსმენთა გარეშე სამეფოს არსებობა არ შეუძლია.

ლუი. გაჩუმდი მასხარავ და ეგ წალა დააკერე. რაო, დამსმენები არ გიყვარს?

სამართლიანი მეწაღე. არამზადა რა სიყვარულის ღირსია, თქვენო უდიდებულესობავ!

(შემოდის მუარონი. თვალს აცეცებს, დაფეთებულია. ისეთი შესახედავია, თითქოს ტანგაუხდელს სძინებიაო. ეტყობა, რომ ლუი ასე ახლოს პირველად ნახა და გაოგნდა)

ლუი. (თავაზიანად) თქვენ ხართ ზაქარია მუარონი?

მუარონი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

ლუი. კლავესინში თქვენ იჯექით?

მუარონი. მე ვიჯექი, სირ.

ლუი. ბატონმა დე მოლიერმა გიშვილათ? (მუარონი დუმს) მიპასუხეთ!

მუარონი. დიახ, მიშვილა.

ლუი. მსახიობის ხელოვნებას ის გასწავლიდათ? (მუარონი ატირდება) მიპასუხეთ!

მუარონი. დიახ, მასწავლიდა.

ლუი. რა გქონდათ განზრახული, როცა მეფის სახელზე დასმენის წერილს წერდით? აქ წერია: მსურს, მართლმსაჯულებას დავეხმაროვო.

მუარონი. (მექანიკურად) დიახ, მსურს.

ლუი. მართალია, რომ სილა გაგაწნათ?

მუარონი. მართალია.

ლუი. რატომ?

მუარონი. ცოლი ჩემთან ღალატობდა.

ლუი. კარგი. დაკითხვაზე ამისი თქმა აუცილებელი არ არის. შეგიძლიათ თქვათ, რომ ინტიმური მიზეზით გაგარტყათ. რამდენი წლისა ხართ?

მუარონი. ოცდასამისა.

ლუი. სასიამოვნო რამ უნდა გაუწყოთ. თქვენი დასმენა ძიებით დადასტურდა. რა გსურთ, მეფისგან ჯილდოდ მიიღოთ? ფული გინდათ?

მუარონი. (შეკრთება. პაუზა) თქვენო უდიდებულესობავ, „ბურგონის სამეფო თეატრში“ თამაშის ნება დამრთეთ.

ლუი. არა. თქვენზე ამბობენ, სუსტი მსახიობიაო. არ შეიძლება.

მუარონი. მე ვარ სუსტი მსახიობი?... (გულუბრყვილოდ) „დიუ მარეს თეატრში“ არ შეიძლება?

ლუი. არ შეიძლება.

მუარონი. მაშ რა ვქნა?

ლუი. მსახიობის საეჭვო პროფესია რას გარგებთ? თქვენს სახელს ჩირქი არაფრით მოსცხებია. თუ გსურთ, მეფის სამსახურში მიგიღებენ. სამძებრო პოლიციაში. მეფის სახელზე განცხადება შემოიტანეთ და დაგაკამყოფილებენ. შეგიძლიათ წახვიდეთ.

(მუარონი გადის)

სამართლიანი მეწაღე. ჯანდაბაში, ჯანდაბაში...

ლუი. ოჰ, შე მასხარავ. (ზარს დარეკავს) ბატონი დე მოლიერი შემოვიდეს!

(მუარონი კარს მიეფარება თუ არა, მეორე კარიდან ლაგრანჟი გამოჩნდება, მოლიერს შემოიყვანს და მყისვე გაუჩინარდება. მოლიერი უცნაური შესახედავია. საყელო გვერდზე მოჭკევეია, პარიკიც უშნოდ უკეთია. სახეზე ნაცრისფერი ადევს. ხელები უკანკალებს. დაშნა ირიბად ჰკიდია)

მოლიერი. სირ...

ლუი. ვისთან ერთად მოხვედით, ანდა რატომ, როცა მარტო მოგიწვიეს?

მოლიერი. (შემკრთალი გაიღიმებს) ჩემმა ერთგულმა მოწაფემ, მსახიობმა ლაგრანჟმა... მომაცილა. გულის შეტევა მქონდა და მარტო წამოსვლა ვერ შევძელი. ვიმედოვნებ, თქვენი უდიდებულესობა არ გამირისხებია. (პაუზა) უნდა მოგახსენოთ, რომ უბედურება შემემთხვა... მაპატიეთ, ტუალეტი რიგზე რომ არა მაქვს. მადლენ ბეჟარი გუშინ გარდაიცვალა, ცოლი კი, არმანდა, სახლიდან მაშინვე

გამეცა. ყველაფერი დატოვა, წარმოგიდგენიათ. კაბები, კომოდი... ბეჭდები. და რაღაც გიჟური წერილი დამიტოვა... (ჯიბიდან ქალაღის ნაგლეჯს ამოიღებს, პირფერულად იღიმება)

ლუი. წმინდა არქიეპისკოპოსი მართალი გამოდგა. თქვენს ნაწარმოებებში ბინძურად კილავთ რელიგიას. ამას გარდა, დამნაშავეც ყოფილხართ, ღვთისმგმობელი. (მოლიერი გაშეშდება) გიცხადებთ გადაწყვეტილებას თქვენი ქორწინების თაობაზე: გიკრძალავთ სამეფო კარზე გამოჩენას, გიკრძალავთ „ტარტიუფის“ თამაშს. დასი შიმშილით რომ არ ამოგიწყდეთ, მხოლოდ იმიტომ გრთავთ ნებას, „პალე-როიალში“ სასაცილო კომედიები წარმოადგინოთ, მეტი კი არაფერი... იცოდეთ, დღეის შემდეგ თავი აღარ გამახსენოთ! მეფის მფარველობის იმედს ნულარ იქონიებთ.

მოლიერი. თქვენო უდიდებულესობავ, ეს ხომ გაუბედურებაა, სახრჩობელაზე უარესია. (პაუზა) რის გამო?

ლუი. იმის გამო, რომ სკანდალური ქორწინებით მეფის სახელს ჩრდილი მიაყენეთ.

მოლიერი. (სავარძელში ჩაჯდება) მომიტყევთ... წამოდგომა არ შემძლია...

ლუი. წადით. მიღება დამთავრებულია. (გადის)

ლაგრანჟი. (კარიდან შემოიხედავს) რაო?

მოლიერი. კარეტა... წამიყვანე... მოუხმე... (ლაგრანჟი კარს მიეფარება) მაღლენი რამეს მირჩევდა, მაგრამ ცოცხალი აღარ არის.

ეს რა ამბავია ჩემს თავს?

სამართლიანი მეწაღე. (თანაგრძნობით) შენ, რა, ღმერთი არა გწამს? აჰ. რა დღეში ჩავარდი... აჰა ვაშლი.

მოლიერი. (ვაშლს მექანიკურად გამოართმევს) გმადლობთ.

(შემოდის შარონი, შეჩერდება და მოლიერს დააცქერდება. თვალები კმაყოფილებით უბრწყინავს. შარონის დანახვაზე გამოცოცხლდება - მანამდე მაგიდაზე იყო დამხობილი. წამოიწევს, თვალები

აუელვარდება) ოჰ, წმინდაო მამაო! კმაყოფილი ხართ? „ტარტიუფის“ სამაგიერო გადამიხადეთ, ვიცი, რელიგიის გულისათვის თავი ასე რატომაც გამოიღეთ. მიმიხვდით, თქვენო უწმინდესობავ. რაც მართალია, მართალია. მეგობრები მეუბნებოდნენ, რა იქნება, უსინდისო ბერზე რამე დაწერო... ჰოდა, მეც ავდექ და თქვენ განგასახიერეთ, რადგანაც თქვენზე უფრო სინდისგარეცხილი არავინ მეგულება.

შარონი. ვწუხვარ შენს გამო, რადგან ვინც ამ გზით ივლის, სახრჩობელა არ ასცდება, შვილო.

მოლიერი. შვილს ნუ მეძახით, მე ეშმაკის შვილი არა ვარ. (დაშნას ამოიღებს)

სამართლიანი მეწაღე. რას იყეფები?

შარონი. (თვალს ჭუტავს) თუმცა, სახრჩობელამდე ვერც მიაღწევთ. (გვერდზე ბოროტად გაიხედავს)

(კარიდან ცალთვალა შემოდის. ხელში ჯოხი უჭირავს)

ცალთვალა. (მოლიერთან უხმოდ მივა და ფეხზე ფეხს დააბიჯებს) ბატონო, თქვენ დამეჯახეთ და ბოდიში არ მომიხადეთ. ხეპრე ყოფილხართ!

მოლიერი. (მექანიკურად) ბოდიში... (დაძაბულად) მე კი არა, თქვენ დამეჯახეთ.

ცალთვალა. ცრუობთ!

მოლიერი. როგორ მიბედავთ! რა გინდათ ჩემგან?

(შემოდის ლაგრანჟი)

ლაგრანჟი. (გაფითრდება) მეტრ, ახლავე წამოდით, ახლავე წამოდით! (აღელვებული) მარკიზო, ბატონი დე მოლიერი შეუძლოდაა.

ცალთვალა. აქ როცა შემოვედი, ხელში დაშნა ეჭირა. კარგადაა. (მოლიერს) ჩემი გვარია დ'ორსინი. თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, არამზადა ხართ!

მოლიერი. მე თქვენ დუელში გიწვევთ!

ლაგრანჟი. (შემრწუნებული) წამოდით! ეს ხომ „ილოცეა“!

შარონი. ბატონებო, მეფის მისაღებ დარბაზში რას სჩადიხართ? ოჰ...

მოლიერი. დუელში გიწვევთ!

ცალთვალა. დიდებულია. მეტად აღარ შეურაცხყოფთ. (ბოროტად იცინის) ღმერთი იყოს ჩემი მსაჯული, დიდებულო მეფევ! მიმიღე, პირქუშო ბასტილიავ! (ლაგრანჟს) ბატონო ჩემო, მოწმე თქვენ იქნებით. (მოლიერს) ამ კაცს განკარგულება მიეცით ქონების თაობაზე. (დაშნას ამოიღებს და წვერს გაუსინჯავს) არაფერს ეუბნებით? (შეჰყვირებს) ილოცე! (ჰაერს დაშნით ჯვარს გადასახავს) შარონი. ბატონებო, გონს მოდით!.. გონს მოდით!.. ბატონებო!.. (კიბეზე მსუბუქად შეხტება და ორთაბრძოლას იქიდან უყურებს)

ლაგრანჟი. ეს ხომ მკვლელობაა!..

სამართლიანი მეწაღე. მეფის მისაღები სასაკლაოდ აქცევს!

(ცალთვალა სამართლიან მეწაღეს ქეჩოში ხელს სტაცებს და ხმას გააკმენდინებს. მერე მოლიერისაკენ გაქანდება. მოლიერი დაშნის ქნევით მაგიდას ამოეფარება. ცალთვალა მაგიდაზე შეხტება)

ლაგრანჟი. დაშნა გადააგდეთ, მასწავლებელო!

(მოლიერი დაშნას გადააგდებს და იატაკზე ჩაჯდება)

ცალთვალა. დაშნა აიღეთ!

ლაგრანჟი. (ცალთვალას) უიარაღოს დაჭრის ნება არა გაქვთ!

ცალთვალა. არ დავჭრი. (მოლიერს) აიღე დაშნა, შე მხდალო!

მოლიერი. ნუ შეურაცხმყოფთ და დაშნას ნუ მიღერებთ. ვერ გამიგია, რა ხდება. ხომ ხედავთ, გული მაწუხებს... ცოლმაც მიმატოვა... ბრილიანტის ბეჭდები იატაკზე ყრია. თეთრეულიც კი არ წაუღია... რა უბედურებაა.

ცალთვალა. ვერაფერი გამიგია!

მოლიერი. არ ვიცი, რას მერჩით, ჩემს სიცოცხლეში სულ ორჯერ მყავხართ ნანახი. ერთხელ ფული მომიტანეთ. მაგრამ ეს ხომ დიდი ხნის წინ იყო. მე ავადა ვარ, ხელს ნუ მახლებთ...

ცალთვალა. პირველივე სპექტაკლს დაამთავრებთ თუ არა, მაშინვე მოგკლავთ! (დაშნას ქარქაშში ჩააგებს)

მოლიერი. კარგი, კარგი... სულ ერთია.

(სამართლიანი მეწაღე უცებ ადგილს მოსწყდება და სადღაც გაქრება. ლაგრანჟი დაშნას აიღებს, მოლიერს იატაკიდან წამოაყენებს და გარეთ გაჰყავს. ცალთვალა მათ თვალს გააყოლებს)

შარონი. (კიბიდან თვალანთებული ჩამოვა. პაუზა) რატომ არ მოკალით?

ცალთვალა. რა თქვენი საქმეა? დაშნა გადააგდო. ილოცე!

შარონი. ბრიყვო!

ცალთვალა. რაო?! უჰ, შე ეშმაკის მოციქულო!

შარონი. (უცებ ცალთვალას მიაფურთხებს) ფუჰ!

(გაოგნებული ცალთვალა თვითონაც მიაფურთხებს. კარი გაიღება და აღელვებული სამართლიანი მეწაღე შემოვარდება. უკან ლუი მოჰყვება. მოჩხუბრები ისე არიან გართულნი, რომ ერთმანეთის შეფურთხებას გვიანდა შეწყვეტენ. ოთხივენი დიდხანს, უაზროდ შეჰყურებენ ერთმანეთს)

ლუი. მაჰატიეთ, ხელი რომ შეგიშაღეთ. (გავა და კარს მიხურავს)

ფ ა რ დ ა

მეოთხე მოქმედება

მოლიერის ბინა. სადამოა. სასანთლებში სანთლები ანთია. კედლებზე იდუმალი ჩრდილები ფარფატებს. ყველაფერი არეულ-დარეულია. ხელნაწერები მიმოფანტულია. საცვლებზე ხალათშემოცმული, ჩაჩიანი მოლიერი უზარმაზარ სავარძელში ზის. მეორე სავარძელში ბუტონი ზის. მაგიდაზე ორი დაშნა და დამბაჩა აწყვია. მეორე მაგიდაზე საჭმელი და ღვინო მოჩანს. ბუტონი დროდადრო საჭმელს გადასწვდება ხოლმე. შავმოსასხამიანი ლაგრანჟი ოთახში მიდი-მოდის და გმინავს თუ რაღაცას ღიღინებს.

ლაგრანჟი. უჰ... კლავესინი... კლავესინი...

მოლიერი. კმარა, ლაგრანჟო, შენ რა შუაში ხარ. ალბათ, ეს მეწერა. თავს უბედურება დამატყდა და ყველაფერი წარმტაცა.

ბუტონი. ნამდვილად ასეა. თავად მეც საშინელი ბედი მაქვს. ლიმოჟში ღვეზელებს ვყიდდი, მაგრამ არავინ ყიდულობდა... მსახიობობა მოვინდომე, თქვენთან მოვედი და...

მოლიერი. გაჩუმდი, ბუტონო.

ბუტონი. გავჩუმდები.

(სევდიანი პაუზა. მერე კიბის ჭრიალი გაისმის. კარი გაიღება და მუარონი შემოდის. ხიფთანი კი არა, რაღაც გაზინთული ქურთუკი აცვია. მოქანცული და გაუპარსავია, ცოტა შემთვრალია, ხელში ფარანი უჭირავს. ოთახში მსხდომნი თვალეზე ხელს მოიფარებენ და შემოსულს ისე აკვირდებიან. როცა იცნობენ, ლაგრანჟი დამბაჩას სტაცებს ხელს. მოლიერი ხელს აუკრავს. დამბაჩა გავარდება და ტყვია ჭერს მოხვდება. მუარონი ოდნავადაც არ გაოცდება, ზანტად ახედავს ნატყვიარ ადგილს. ლაგრანჟი ცდილობს, ხელი რაიმეს წამოავლოს და დოქს გატეხს. მუარონს ეცემა, ქვეშ ამოიდება და ყელში ხელეებს წაუჭერს)

ლაგრანჟი. დამსაჯოს მეფემ, სიკვდილით დამსაჯოს... (ყვირის) უჰ, შე იუდა!

მოლიერი. (გატანჯული ხმით) ბუტონო... ბუტონო... (ბუტონის დახმარებით ლაგრანჟს განზე გაათრევს. ლაგრანჟს) ბოლო გინდა მომიღო სროლითა და აურზაურით? რას სჩადი, ჩემს ბინაში მკვლელობა განიზრახე?..

(პაუზა)

ლაგრანჟი. არამზადა ზაქარია მუარონო, ხომ კარგად მიცნობ? (მუარონი თავის დაკვრით უდასტურებს) ამაღამ სადაც არ უნდა წახვიდე, სიკვდილი არ აგცდება. დილა აღარ გაგიტენდება. (მოსასხამში გაეხვევა და დადუმდება; მუარონი ლაგრანჟს დასტურის ნიშნად თავს დაუკრავს, მოლიერის წინ დაიჩოქებს და თავს მდაბლად დახრის)

მოლიერი. რისთვის მოხვედი, შვილო? ჩემი დანაშაული ხომ გამოაშკარავე. რაღა გინდა, რომ ჩემს სახლში აღმოაჩინო? მეფეს რაღას მისწერ? იქნებ გგონია, რომ ყალბი ფულის მჭრელიცა ვარ? გაჩხრიკე კარადები და კომოდები, ნებას გაძლე. (მუარონი კვლავ თავს დახრის) თავის მოხრით ნუ ირჯები... მითხარ, რა გინდა.

მუარონი. დიდად პატივცემულო და უძვირფასესო მასწავლებელო, იქნებ გგონიათ, რომ პატიების სათხოვნელად მოვედი? არა. მოვედი, რომ დაგამშვიდოთ: შუალამეც არ იქნება დამდგარი, რომ თქვენი ფანჯრის წინ თავს ჩამოვიხრჩობ, რადგან სიცოცხლე აღარად მიღირს. აი, თოკი. (ჯიბიდან თოკს ამოიღებს) ესეც წერილი: „მივდივარ ჯოჯოხეთში“.

მოლიერი. (მწარედ) უჰ, როგორ დამამშვიდე.

ბუტონი. (ღვინოს გადაჰკრავს) მართლაც რომ უმნელესი შემთხვევაა... ერთ ფილოსოფოსს უთქვამს...

მოლიერი. გაჩუმდი, ბუტონო.

ბუტონი. გავჩუმდები.

მუარონი. მე თქვენს სიახლოვეს მინდა ყოფნა. ქალბატონ მოლიერს კი, თუ ვიცოცხლე, ერთხელაც აღარ შევხედავ.

მოლიერი. ვედარც შეხედავ, შვილო ჩემო, რადგან სახლიდან წავიდა და სამუდამოდ მარტო დამტოვა. დაუოკებელი ხასიათი მაქვს, ჯერ რაღაცას ჩავიდენ ხოლმე და მერე ვინანებ. ახლაც დავფიქრდი, რაც მოხდა, ყველაფერი ავწონ-დავწონე, შეგინდე და ჩემს სახლში დაგაბრუნებ. დარჩი აქ.

(მუარონი ატირდება)

ლაგრანჟი. (მოსასხამს გადაიწევეს) მასწავლებელო, თქვენ კაცი კი არა, იატაკის სახეხი ჩვარი ხართ!

მოლიერი. (ლაგრანჟს) თავხედო ლეკვო! რაც არ გაგეგება, იმაზე ნუ ლაპარაკობ. (პაუზა. მუარონს) ადექი, შარვალი ნუ გაცვითე. (პაუზა) მუარონი წამოდგება. (პაუზა) ხიფთანი რა უყავ?

მუარონი. სამიკიტნოში დავაგირავე.

მოლიერი. რამდენად? (მუარონი ხელს ჩაიქნევს; ბუზღუნებს) სამიკიტნოში ატლასის ხიფთანის დატოვება ნამდვილი ღორობაა. (ბუტონს) ხიფთანი გამოისყიდე... (მუარონს) შენზე ამბობენ, იმდენი იწანწალა, მეფესთანაც კი მივიდაო.

მუარონი (გულში მჯილს ჩაიბრაგუნებს) მეფემ მითხრა, მაძებრად გამოდგები, მსახიობად არ ვარგიხარო...

მოლიერი. ეჰ, როგორია კაცის გული! მეფე შეცდა: შენ საუცხოო მსახიობი ხარ, მაძებრად კი არ გამოდგები - შეუფერებელი გული გაქვს. ერთ რამეს ვწუხვარ, შენთან ერთად თამაში დიდხანს რომ აღარ მიწერია. ცალთვალა ძაღლი - მუშკეტერი მომისიეს, შვილო ჩემო. მეფემ ჩემს მფარველობაზე ხელი აიღო და ალბათ მომკლავენ. სადმე უნდა გავიქცე.

მუარონი. მასწავლებელო, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენს მოკვლას ვერავინ შეძლებს, მერწმუნეთ! ხომ იცით, დაშნას როგორ ვხმარობ.

ლაგრანჟი. (მოსასხამიდან ყურს გამოყოფს) ბილწო სალახანავ, მართალია, დაშნას დიდებულად ხმარობ, მაგრამ ვიდრე „ილოცეს“ მიეკარებოდე, ეკლესიაში პანაშვიდი დაუკვეთე.

მუარონი. ზურგიდან მივეპარები და ისე მოვკლავ.

ლაგრანჟი. ზურგიდან მიპარვა მართლაც რომ შეგეფერება.

მუარონი. (მოლიერს) გვერდიდან არ მოგცილდებით. შინ და გარეთ, დღისით და ღამით თქვენთან ვიქნები. ამიტომ მოვედი.

ლაგრანჟი. მაძებარივით.

მოლიერი. (ლაგრანჟს) ენას კბილი დააჭირე.

მუარონი. ძვირფასო რეგისტრო, ნუ მლანძღავ. იმის გალანძღვა არ შეიძლება, ვინც პასუხს ვერ დაგიბრუნებს. დამეხსენი, მე შერცხვენილი კაცი ვარ. ამაღამ არსად ჩამისაფრდე. თუ მომკლავ, ჩამოგახრჩობენ, კაბალა კი უმწეოდ დარჩენილ მეტრს სიცოცხლეს მოუსწრაფავს.

მოლიერი. რაც სახლიდან წახვედი, საკმაოდ დაჭკვიანებულხარ.

მუარონი. (ლაგრანჟს) იცოდე, რომ „ტარტიუფის“ გამო მეტრი ღვთისმგმობად გამოაცხადეს. მე კაბალის კრებაზე ვიყავ სარდაფში... იმათგან ყველაფერს უნდა მოელოდე.

მოლიერი. ვიცი. (შეკრთება) დააკაკუნეს?

მუარონი. არა. (ლაგრანჟს) დამბაჩა და ფარანი აიღე, საყარაულოდ წავიდე.

(ლაგრანჟი და მუარონი იარაღს და ფარანს აიღებენ და გადიან; პაუზა)

მოლიერი. ტირანი, ტირანი...

ბუტონი. ვისზე ამბობ, მეტრ?

მოლიერი. საფრანგეთის მეფეზე...

ბუტონი. გაჩუმდით!

მოლიერი. ლუი დიდზე! ტირანი!

ბუტონი. ყველაფერი დასრულდა. ორივეს ჩამოგვახრჩობენ.

მოლიერი. ოჰ, ბუტონო, დღეს კინაღამ შიშისაგან სული ამომხდა. ოქროს კერპია და თვალები, თუ დამიჯერებ, ზურმუხტისა აქვს. ხელებზე ცივმა ოფლმა დამასხა, თვალები ამიჭრელდა და მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობდი, რომ მსრესდა! კერპი!

ბუტონი. ორივენი ჩამომხრავალნი ვართ, თქვენცა და მეც, მოედანზე, ერთმანეთის გვერდით. თქვენ ჰკიდიახართ და იქვე მეც ვარ ჩამოკონწიალებული. უდანაშაულოდ დაღუპული ჟან-ჟაკ ბუტონი. სადა ვარ ახლა? ცის სასუფეველში. გარემოს ვერ ვცნობილობ.

მოლიერი. მთელი სიცოცხლე დეზებს ვულოკავდი და მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობდი, არ გამსრისოს-მეთქი. მაგრამ, აჰა, მაინც გამსრისა. ტირანი!

ბუტონი. მოედანზე დოლის ცემა გაისმის. ენა პირიდან ნაადრევად ვინ წამოაგდო? ქამრამდე უნდა სწვდებოდეს, ქამრამდე...

მოლიერი. რის გამო? ხომ გესმის, დილას ვეკითხებოდი, რის გამო, ვერ გამიგია-მეთქი. ვუთხარი: თქვენო უდიდებულესობავ, მძულს ასეთი საქციელი, პროტესტს ვაცხადებ, შეურაცხყოფილი ვარ, თქვენო უდიდებულესობავ, განმიმარტეთ, თუ შეიძლება, განმიმარტეთ... იქნებ ცოტას გაამებდით? იქნებ ცოტას დავხოხავდი მუცელზე? თქვენო უდიდებულესობავ, მოლიერისთანა ფეხისმოკველს სადღა იშოვით-მეთქი. იცი კი, ბუტონო, ასე რის გამო ვიქცეოდი? „ტარტიუფის“ გამო. მხოლოდ იმისთვის ვიმცირებდი თავს. მინდოდა, მოკავშირე შემეძინა. რა მოკავშირე შევიძინე! თავს ნუ დაიმცირებ, ბუტონო! მძულს მეფის ტირანია!

ბუტონი. მეტრ, თქვენ ძეგლს დაგიდგამენ. შადრევანთან ქალი იდგება, პირიდან წყლის ნაკადი რომ გადმოსჩქეფს, თქვენ უდიდესი პიროვნება ხართ, ოღონდ გაჩუმდით... ენა რატომ არ გაგიხმებათ, რატომ მღუპავთ?...

მოლიერი. სხვა რაღა უნდა ვქნა იმის დასამტკიცებლად, რომ მლილი ვარ? მაგრამ უწყოდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მე მწერალი გახლავართ და მოგეხსენებათ, ვაზროვნებ. პროტესტს ვაცხადებ... ის ჩემი ქალიშვილი არ არის! (ბუტონს) მაღლენ ბეჟარს მოუხმეთ, რჩევა მინდა ვკითხო.

ბუტონი. რას ამბობთ, მეტრ?!

მოლიერი. აჰ... მოკვდა... ჩემო დედაბერო, სიმართლე რატომ არ მითხარ? არა, არა... რატომ არ მარიგებდა, რატომ არ მცემდი?... გესმის?. სანთლები ავანთოთო, მეუბნებოდა, შენთან მოვალო. (ნაღვლობს) სანთლები კი ანთია, მაგამ ის არსადა ჩანს. შენ რაღას გერჩოდი, ხიფთანი რომ დაგიხიე... აჰა, ლუიდორი ხიფთანისთვის. ბუტონი. (წუწუნით) ვინმეს დავუძახებ... ეს ამბავი ხომ ათი წლის წინ იყო, რას ამბობთ...

მოლიერი. ყველაფერი ჩაალაგე. ხვალ უკანასკნელად ვითამაშებ და მერე ინგლისში გავიქცევი. რა სისულელეა! ზღვაზე - ქარი ქრის, ენაც უცხოა... და საერთოდ, ინგლისი კი არა, საქმე ისაა, რომ...

(კარი გაიღება და მოხუცი რენე თავს შემოყოფს)

რენე. თქვენთან მონაზონი მოვიდა.

მოლიერი. (შეშინდება) რაო? ვინ მონაზონია?

რენე. თავად არ დაიბარეთ? თეატრის კოსტიუმები უნდა მიგეცათ გასარეცხად.

მოლიერი. რენე, შე სულელო დედაბერო, როგორ შემაშინე! ჰო, კოსტიუმები! უთხარ, რომ ხვალ პალე-როიალში მოვიდეს სპექტაკლის ბოლოს. უჰ, შე სულელო!

რენე. მე რა, თავად ბრძანეთ.

მოლიერი. არაფერიც არ მიბრძანებია. (რენე გადის. პაუზა) აბა, კიდეც რა საქმე დაგვრჩა. ჰო, ხიფთანი... მაჩვენე სად დაგიხიე?

ბუტონი. მეტრ, დაწეკით, თუ ღმერთი გწამთ! რა ხიფთანი? (მოლიერი უცებ დაწვება საწოლზე და საბანს თავზეც წაიხურავს)

დმერთო ძლიერო, ამის ნათქვამს ნურავის გააგონებ. მოდი, წავიეშმაკებ. (არაბუნებრივად ხმამაღლა და ყალბად წარმოთქვამს, თითქოს საუბარს განაგრძობსო) რას ამბობდით, ბატონო ჩემო? ჩვენი მეფე ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ბრწყინვალე მეფეა მთელს ქვეყანაზეო? სადავო არაფერი მაქვს, მეც თქვენს აზრს ვიზიარებ.

მოლიერი. (საბანქვემოდან) რა უნიჭობაა.

ბუტონი. გაჩუმდით! (ყალბი ხმით) დიახ, მე ვიძახდი და კვლავაც შევძახებ: გაუმარჯოს მეფეს!

(ფანჯარაზე აკაკუნებენ. შეშინებული მოლიერი საბნიდან თავს გამოყოფს. ბუტონი ფანჯარას ფრთხილად გააღებს. ფანჯრიდან შემოიხედავს შემფოთებული მუარონი. ხელში ფარანი უჭირავს)

მუარონი. ვინ ყვიროდა? რა მოხდა?

ბუტონი. არაფერიც არ მომხდარა. რა აუცილებელია, რომ რამე მომხდარიყო? ბატონ მოლიერს ვესაუბრებოდი და შევძახე, გაუმარჯოს მეფეს-მეთქი. ბუტონსაც ხომ აქვს ნება, რაიმე შესძახოს? ჰოდა, ისიც გაიძახის: გაუმარჯოს მეფეს!

მოლიერი. დმერთო ჩემო, რა უნიჭოა ეს ბრიყვი!

(...მსახიობთა საპირფარეო „პალე-როიალში“. ძველებურად ჰკიდია ძველი, მწვანე აფიშა, ჯვარცმასთან კვლავ ლამპარი ანთია და ლაგრანჟსაც მწვანე ფარანი უნთია. მაგრამ ფარდის იქიდან ხმაური და სტვენა მოისმის. სავარძელში მოლიერი ზის, ხალათი აცვია და ჩაჩი ახურავს, კარიკატურული ცხვირი აქვს. მოლიერი აღგზნებულია, უცნაურ განწყობილებაზეა, თითქოს მთვრალიაო. გვერდით უდგანან ექიმების შავ კოსტიუმებში გამოწყობილი, მაგრამ უფრემო ლაგრანჟი და დიუ კრუაზი. ძირს ყრია ექიმების კარიკატურული ნიღბები. კარი გაიღება და ბუტონი შემორბის: შავმოსასხამიანი მუარონი სცენის დასაწყისში განმარტოებით დგას უძრავად)

მოლიერი. რა, მოკვდა?

ბუტონი. (ლაგრანჟს) გულში...

მოლიერი. გთხოვ, მსახიობებს კი არა, პალე-როიალის დირექტორს მოახსენო. უკანასკნელ სპექტაკლზეც ყველაფერს მე განვაგებ!

ბუტონი. (მოლიერს) დიახ, მოკვდა. გულში დაშნა გაუყარეს.

მოლიერი. განუსვენოს უფალმა. რას იზამ.

სუფლიორი. (კარიდან შემოიხედავს) რა ხდება?

ლაგრანჟი. (ხმამაღლა, ხაზგასმით) რა ხდება? მუშკეტერები თეატრში შემოცვივდნენ და მეკარე მოკლეს.

სუფლიორი. ეჰე!.. (გაუჩინარდება)

ლაგრანჟი. მე, როგორც თეატრის მდივანი, ვაცხადებ, რომ თეატრი სავსეა უბილეთო მუშკეტერებით და უცნობი ხალხით. მათ დასაოკებლად ძალა არ მყოფნის და სპექტაკლის გაგრძელებას ვკრძალავ.

მოლიერი. აბა... აბა... აბა!.. რას კრძალავ!.. ნუ გავიწყდება, ვინა ბრძანდები. ჩემთან შედარებით ბიჭუნა ხარ. ამ ჭადარას ვეღარ ამჩნევ?

ლაგრანჟი. (ჩურჩულით, ბუტონს) ხომ არ დაუღევივია?

ბუტონი. წვეთსაც არ მიჰკარებია.

მოლიერი. კიდევ რა მინდოდა მეთქვა?

ბუტონი. უძვირფასესო ბატონო დე მოლიერო...

მოლიერი. ბუტონო!..

ბუტონი. ...მოგწყდეთ თავიდან, არა? ვიცი... ოცი წელია, თქვენთან ვარ და მხოლოდ ეს სიტყვები მესმის. ან არადა, მეუბნებით: ბუტონო, გაჩუმდიო! მიჩვეული ვარ. მე თქვენ გიყვარვართ, მეტრ, და ამ სიყვარულის გულისათვის მუხლმოყრილი გევედრებით - სპექტაკლს ნუღარ დაამთავრებთ, გაიქცით. კარეტა მზადაა.

მოლიერი. ვინ გითხრა, რომ მიყვარხარ? ნამდვილი ყბედი ხარ. მე არავის ვუყვარვარ. მაღიზიანებენ და მდევნიან! არქიეპისკოპოსმა ბრძანა, რომ სასაფლაოზე არ დამმარხონ. მაშ, ყველა შემოღობილში

უნდა იყოს, მე კი - ღობის იქით. მაგრამ იცოდეთ, მაგათი სასაფლაო არ მჭირდება, მიმიფურთხებია! მთელი სიცოცხლე მოსვენებას არ მაძლევთ, ყველანი ჩემი მტრები ხართ.

დიუ კრუაზი. ღვთის შიში გქონდეთ, მეტრ, ჩვენ...

ლაგრანჟი. (ბუტონს) ამ ალიაქოთში როგორ უნდა ვითამაშოთ? (ფარდის იქით სტვენა და ხმაურია) გესმით?

მოლიერი. ყველიერია! „პალე-როიალში“ ჭალები ბევრჯერ დაუღეწავთ. პარტერი მხიარულობს.

ბუტონი. (ავის მომასწავებლად) თეატრში ცალთვალაა.

(პაუზა)

მოლიერი. (გაინახება) აჰ... (შემკრთალი) მუარონი სადაა? (მუარონისაკენ გაქანდება და ცდილობს, მის მოსასხამს ამოეფაროს; კბილებდაღრჭენილი მუარონი მოლიერს მდუმარედ მოხვევს ხელს) დიუ კრუაზი. (ჩურჩულით) ექიმს უნდა დავუძახოთ.

მოლიერი. (მოსასხამიდან გამოიხედავს, შეშინებულია) სცენაზე ხომ ხელს ვერ მახლებს, არა?

(დუმილი. კარი გაიღება და რივალი შემოირბენს. ორიგინალური კოსტიუმი აცვია, ჩვეულებისამებრ ნახევრად შიშველია, თავზე ექიმის შლაპა ახურავს, უზარმაზარი სათვალე უკეთია)

რივალი. ანტრაქტის მეტად გაჭიანურება აღარ შეიძლება. ან ვითამაშოთ...

ლაგრანჟი. თამაში უნდა, რა ვქნათ?

რივალი. (მოლიერს დიდხანს უყურებს) უნდა ვითამაშოთ.

მოლიერი. (მოსასხამიდან გამოძვრება) ყოჩაღ! ჩემო მამაცო ბებრუცუნავ, მოდი, გაკოცო. განა შეიძლება, უკანასკნელი სპექტაკლი დაიწყო და არ დაამთავრო? ამას ესმის. თორმეტი წელია ჩემთან თამაშობ და, თუ დამიჯერებ, ჩაცმული ერთხელაც არ მინახიხარ, ყოველთვის შიშველს გხედავ.

რივალი. (მოლიერს ჰკოცნის) ჟან-ბატისტ, მეფე შეგინდობთ.

მოლიერი. (აბნეულად) ჰო... შემინდობს...

რივალი. მე ხომ დამიჯერებთ?

მოლიერი. (ჩაფიქრდება) დაგიჯერებ. ამათ კი არ დავეუჯერებ. (ფხვს უაზროდ გაიქნევს) ბრიყვები არიან. (უცებ შეკრთება და მთლად შეიცვლება) მომიტევეთ, ბატონებო, თავს ასეთი უხეშობის ნება რომ მივეცი. თავადაც არ ვიცი, როგორ წამომცდა, აღელვებული ვარ. ნუ დამძრახავთ. ბატონო დიუ კრუაზი...

დიუ კრუაზი, ლაგრანჟი. (ერთხმად) არაფერი გვწყენია!

ბუტონი, რივალი. როგორც კი უკანასკნელ ფრაზას წარმოთქვამთ, მაშინვე გაგაპარებთ სცენიდან, ამაღამ ჩემს საპირფარეოში დაგმაღავთ, გათენებისას კი პარიზს დატოვებთ, თანახმა ხართ? მაშ დავიწყეთ.

მოლიერი. თანახმა ვარ. აბა, უკანასკნელი სურათი გავითამაშოთ.

(დიუ კრუაზი, ლაგრანჟი, და მუარონი ნიღბებს ხელს წამოავლებენ და გაუჩინარდებიან, მოლიერი რივალის ხელს მოხვევს და მერე ისიც გაქრება. მოლიერი ხალათს იხდის. ბუტონი იმ ფარდას ახდის, რომელიც სცენას ჩვენგან ჰყოფს. სცენაზე უზარმაზარი საწოლი დგას, იქვეა თეთრი ქანდაკება, კედელზე ჩამავებული პორტრეტი ჰკიდია. მაგიდაზე ზარი დევს. ჭალებს მწვანე შუქფარები აქვს აფარებული და ამის გამო სცენაზე ღამის მშვიდი სინათლეა. ჯიხურში სანთლები აინთება და სუფლიორი თავის ადგილს დაიკავებს. მთავარი ფარდის იქით მაყურებელთა დარბაზი ხმაურობს, ხანდახან ავის მაუწყებელი სტვენა გაისმის. მოლიერი უცებ მთლად შეიცვლება, ძალზე მსუბუქად შეხტება საწოლზე, ლოგინში ჩაწვება და საბანს წაიხურავს)

მოლიერი (სუფლიორს, ჩურჩულით) დავიწყეთ!

(გაისმის გონგის ხმა, ფარდის იქით დარბაზი მიწყნარდება. გაისმის მხიარული მუსიკის იდუმალი ხმა. შრიალით გაიშლება უზარმაზარი ფარდა. იგრძნობა, რომ თეატრი გაქედილია. განაპირა

მოოქრულ ლოჟაში ბუნდოვნად მოჩანს ვიღაცების სახეები, გაისმის დაფდაფების მძლავრი ხმა და იატაკიდან ლაგრანჟი აღიმართება. უზარმაზარი ცხვირი აქვს და შავი ჩაჩი ახურავს. მოლიერს სახეზე დააშტერდება)

მოლიერი. (შეშინებული) აქ რა გინდა? მითხარ, ვინ ხარ, ასე თავაშვებული?

(მუსიკა)

ლაგრანჟი. ვერ მიცანით? პურგონი ვარ, თერაპევტი ქებული.

მოლიერი (გაოგნებული საწოლზე წამოჯდება) უკაცრავად... ეს ვინღაა? (კედელზე ჩამოკიდებული პორტრეტი გაიფხრიწება და იქიდან გამოძვრება დიუ კრუაზი. ლოთის პირისახე და წითელი ცხვირი აქვს, ექიმის სათვალე უკეთია და ჩაჩი ახურავს) სატანაა ნამდვილი.

დიუ კრუაზი. (ხმაჩახლეჩილი) ვენეროლოგი გახლავართ, თქვენთან გამოგზავნილი.

მოლიერი. ღმერთო, ვეღარ გამიგია... (ქანდაკება გაირღვევა და რივალი გამოხტება)

სიზმრად ვხედავ, თუ ცხადად...

რივალი. მედიკოსთა პრეზიდენტი

თავად გამოგეცხადათ.

(დარბაზი ახარხარდება. იატაკიდან უზარმაზარი ექიმი წამოიმართება)

მოლიერი. იმ კუთხეში ვილა მოჩანს

სარივით დარჭობილი?

(საწოლზე ბალიშები აქეთ-იქით გადაცვივა და მოლიერს თავს დაადგება მუარონი)

მუარონი. მოველ, დიაფუარუსი,

დოსტაქარი, ცნობილი.

(გაიხსნება მესამე, შორეული ფარდა და გამოჩნდება ექიმთა და აფთიაქართა გუნდი. ყველას სასაცილო, უცნაური ნიღაბი უკეთია) მოლიერი. თქვით, რისთვის გაისარჯეთ?

ნუთუ არ გაგონდებთ?

რივალი. მოგახსენებთ, რომ ექიმის

ექიმთა გუნდი. (დაიგრგვინებს) მოგანიჭეს წოდება!!

რივალი. კუჭი ვის არ ასტკივდება?

მოლიერი. ვინც მუჭით ჭამს ყველაფერს!

რივალი. ბენე, ბენე, ბენე, ბენე!

ექიმთა გუნდი. ნოვუს დოქტორ დიგნუს ესტ!

დიუ კრუაზი. ვთქვათ, ლუესი შეგეყარა?..

მოლიერი. რვა წელს ვეღარ მოირჩენ!

(დარბაზი ახარხარდება)

ლაგრანჟი. ბრავო, ბრავო, ასეთ პასუხს

ვერავისგან მოისმენ!

რივალი. დიდად განათლებულია,

დიუ კრუაზი. წამითაც არ ყოვნდება!

(უცებ ლოჟაში ცალთვალა გამოჩნდება, მოაჯირზე ჩამოჯდება და იცდის)

მუარონი. საიქიოს არ ასცდება...

ექიმთა გუნდი. (დაიგრგვინებს) ბაკალავრის წოდება!

მოლიერი. (უცებ სასაცილოდ წაიქცევა) მადლენს მოუხმეთ! რაღაცას მირჩევს... მიშველეთ!.. (დარბაზი ახარხარდება) პარტერო, ნუ იცინი,

ახლავე, ახლავე... (დადუმდება; მუსიკა ცოტა ხანს კიდევ გაისმის, მერე კი უცებ შეწყდება. სცენაზე აღიაქოთია)

ლაგრანჟი. (ნიღაბს მოიხსნის, ლამპართან შეჩერდება) ბატონებო, არგანის როლის შემსრულებელი, ბატონი დე მოლიერი წაიქცა...

(აღელვებულია) სპექტაკლს ვეღარ დავასრულებთ.

(სიჩუმეა. მერე ლოყიდან ყვირილი გაისმის. „ფული დაგვიბრუნეთ!“). სტვენა და ყვირილი ძლიერდება)
 მუარონი. (ნიღაბს მოიხსნის) ფულს ვინ თხოულობს? (დაშნას ამოიღებს და ბოლოს გაუსინჯავს)

ბუტონი. (სცენაზე) ვინ უნდა ყოფილიყო?

მუარონი. (ლოყაზე უთითებს) თქვენ თუ თქვენ? (სიჩუმეა. ცალთვალას.) პირუტყვო! (ცალთვალა დაშნას ამოიღებს და სცენაზე ავა. ცალთვალასაკენ კატასავით მიდის) მოდი, მოდი, მომიახლოვდი! (მოლიერთან მივა, დახედავს, იატაკში დაშნას ჩაარჭობს, შებრუნდება და სცენიდან გავა; უცებ ჯიხურში სუფლიორი ატირდება. ცალთვალა მოლიერს დააცქერდება, დაშნას ქარქაშში ჩააგებს და სცენიდან გავა)

ლაგრანჟი. (ბუტონს) ფარდა ჩამოუშვით!

(ექიმთა გუნდი გონს მოვა, ექიმები და აფთიაქარები მოლიერისაკენ გაქანდებიან, ირგვლივ შემოეხვევიან. ბუტონი ბოლოსდაბოლოს ფარდას დახურავს. დარბაზი მყისვე აყვირდება. მოლიერს ხელში აიყვანენ და სცენიდან გაჰყავთ. ბუტონიც უკან მიჰყვება)

ლაგრანჟი. ბატონებო, მომეხმარეთ! (ფარდის ჭრილიდან იძახის) ბატონებო, გთხოვთ დაიშალოთ... ჩვენ უბედურება გვეწვია.

რივალი. (მეორე ჭრილიდან) ბატონებო, გთხოვთ... ბატონებო... ბატონებო...

(ფარდა გამოიბერება. ცნობისმოყვარენი სცენაზე ასვლას ლამობენ)

დიუ კრუაზი. (მესამე ჭრილიდან) ბატონებო... ბატონებო...

ლაგრანჟი. სანთლები ჩააქრეთ!

(დიუ კრუაზი სანთლებს დაშნით აქრობს. დარბაზში ხმაური ცოტა კლებულობს)

რივალი (ფარდის ჭრილიდან) ბატონებო, შეგვიბრალეთ!.. ბატონებო... დაიშალოთ... სპექტაკლი დამთავრებულია.

(უკანასკნელი სანთელი ჩაქრება და სცენა ჩაბნელდება. ჯვარცმასთან შუქი აინთება, სცენა გახსნილი, ჩაბნელებული და ცარიელია. მოლიერის სარკის შორიახლოს ვიღაც შავტანსაცმლიანი მოკუნტულა. სცენაზე ფარანი გამოჩნდება. შემოდის შავით შემოსილი ლაგრანჟი)

ლაგრანჟი. (მკაცრად) ვინ არის აქ? ვინ დარჩა?

ბუტონი. მე ვარ, ბუტონი.

ლაგრანჟი. მასთან რატომ არ მიდიხართ?

ბუტონი. არ მინდა.

ლაგრანჟი. (მიდის თავის მაგიდასთან, შუქს ანთებს, დავთარს გადაშლის, წერს) „ჩვიდმეტი თებერვალი. დღეს იყო ბატონ დე მოლიერის პიესის „ვითომდა ავადმყოფის“ მეოთხე წარმოდგენა. სადამოს ათ საათზე არგანის როლის შემსრულებელი ბატონი დე მოლიერი სცენაზე წაიქცა და ცოდვების მონანიებაც ვერ მოასწრო, ულმობელმა სიკვდილმა სიცოცხლე ისე მოუსწრაფა“. (პაუზა) ამის აღსანიშნავად ყველაზე დიდ შავ ჯვარსა ვსვამ. (ფიქრობს) ამის მიზეზი რა იყო? რა? რა ჩავწერო?... ამის მიზეზი იყო მეფის გულისწყრომა და შავი კაბალა!.. ასეც ჩავწერ! (წერს და სიბნელებში ჩაინთქმება)

დასასრული



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს გვერდს: www.iBooks.ge